სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თეონა მაღალდაძე

ფინანსური ჩართულობის სერვისები და კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა ხორგუაშვილი,
პროფესორი

გორი
2020

ანოტაცია

ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მოწინავე პოზიციები მოწმობს ბოლო ათწლეულში.კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობისგანვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთიპრიორიტეტია, ქვეყნის მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის და განსაკუთრებით კიმცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა დაყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)) კონტექსტში. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანიასაქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობებისმაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციურიდაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალოსაწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესების განვითარების მხარდაჭერას ტრეინინგების, ფინანსებზე და ინოვაციებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტიტუტების, მექანიზმებისა და საშუალებების განვითარების, მათი ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით.

Annotation

Teona Magaldadze

Financial involvement services and to support development of private sector in Georgia

Strong, well developed small and medium preneuer sector supports greatly the export, innovations, creating modern prenuer culture and at the same time takes the most important role to country's welfare level. To start business in Georgia is very easy, which is in leading position index duringthe last years. To support and develop small and medium business is the main priority for Georgian Government Economic Politics, our government pays great attention to support private business sector and especially to raise competitiveness with Georgia-Europe Association Agreement (which is inseparable part of free marketing and agreement of free marketing space (DGFTA) context).

Adaptation with DGFTA requirements and accomplish them is the most important for Georgia, and it is good for business to usemaximum exporteconomic potential opportunities. Accordingly , besides the legislative and institutional closing, the main role is addressing to the private sector, and at the same time, to satisfy DGFTA requirements by small and medium business. The main goal is to support small and medium business in Georgian regions and tosupport start-ups with trainings, to improve the access to financial innovations, to develop different mechanisms and opportunities , their internalization and find ways to cooperate with international marketing partners.

შინაარსი

შესავალი----------7

თავი I. კერძო სექტორის ინსტიტუციონალური გარმო----------11

1.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო გარემო ----------11

1.2. კერძო სექტორთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები და კანონმდებლობა საქართველოში—----------15

1.3. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები ----------29

1.4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიული მიმართულებები და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა----------41

თავი II. ფინანსური ჩართულობის სერვისები კერძო სექტორის განვითარებაში-----48

2.1. ფინანსური ურთიერთობების სუბიექტები ----------48

2.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო ----------50

2.3. მსოფლიო ბანკი და საქართველო----------56

თავი III.ფინანსურიჩართულობა კოვიდ 19-ის პირობებში ----------60

3.1. დონორების ჩართულობა და კოორდინაცია საქართველოში ----------64

3.2.ფინანსური რისკების მართვა კოვიდ 19-ის პირობებში----------66

დასკვნა ----------73

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ----------77

შესავალი

თემის აქტუალურობა. განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზენაკლები.

ვინ ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ვინ უხდის სახელმწიფო ბიუროკრატის ხელფას, პენსიონერებს პენსიას და აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს? ოფიციალური მონაცემების თანახმად ამ ყველაფერს საქართველოს მოსახლეობის 13% აკეთებს. სპეციალისტების შეფასებით, იმისათვის რომ ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალოს, აუცილებელია ეს 13% მინიმუმ გაორმაგდეს, ანუ გაიზარდოს კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

სწორედ ამ საკითხების სისტემურ შესწავლას და ანალიზს ეძღვნება წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია კერძო სექტორის განვითარების სრულყოფის საკითხები და ფინანსური სერვისების ჩართულობის მიმართულებების განსაზღვრა საქართველოში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

-კერძო სექტორის ინსტუტუციონალური გარემოს განსაზღვრა;

-მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო გარემოს განსაზღვრა;

-კერძო სექტორთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და კანონმდებლობლობის რეფორმები;

-მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში;

-საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა;

- ფინანსური ურთიერთობების სუბიექტების განსაზღვრა;

- ფინანსური ჩართულობა კოვიდ 19-ის პირობებში, დონორების ჩართულობა და კოორდინაცია საქართველოში;

– ფინანსური რისკების მართვის ქართული გამოცდილების ანალიზი და მათი გადაჭრის მიმართულებების განსაზღვრა;

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანი ფინანსური ჩართულობის სერვისები და კერძო სექტორის განვითარება.

კვლევის ობიექტია ისეკონომიკური სუბიექტები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია კერძო ბიზნესთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან და ფინანსური ჩართულობის სერვისების ხელშეწყობასთან საქართველოში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი სპეციალისტების ნაშრომები ფინანსური ინსტიტუტებზე, კონკრეტულად კი - ფინანსური ცარტულობის სერვისებზე კერძო სექტორთან მიმარტებაში, გლობალიზაციის პირობებში რისკის მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცემების რეკომენდაციები. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევები, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შეხედულებები, საერთაშორისო ორგანიზაციათა ანგარიშები და კვლევები. ნაშრომში გამოყენებულია ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მასალები.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების მართვის სისტემურ შესწავლასა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებათა განსაზღვრაში. მეცნიერული სიახლის კონკრეტული ელემენტები მდგომარეობს შემდეგში:

- განსაზღვრულია კერძო სექტორის ინსტუტუციონალური გარემო;

  განსაზღვრულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო გარემო,

- კერძო სექტორის განვითარებისათვის განხორციელებული რეფორმები და მათი დადებითი შედეგები.

- განსაზღვრულია რისკების, კონკრეტულად კი, ფინანსური რისკების არსი და თავისებურებანი, ახსნილია რისკების მართვის შინაარსი და მოცემულია ფინანსური რისკების ახალი ფორმულირება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;

- ჩამოყალიბებულია მათი პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტული წინადადებები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;

- განსაზღვრულია საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიული მიმართულებები და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;

- შემუშავებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების მართვის მეთოდები პრაქტიკაში დანერგვის შესახებ;

- შესწავლილია ფინანსური ჩართულობა კოვიდ 19-ის პირობებში,დონორების ჩართულობა და კოორდინაცია საქართველოში;

- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია მისი სრულყოფის წინადადებები.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კერძო სექტორში საფინანსო დაწესებულებების სერვისების ჩართულობის უზრუნველყოფისას.

თავი I. კერძო სექტორის ინსტიტუციონალური გარემო

1.1.მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო გარემო

კერძო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები.

ვინ ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ვინ უხდის სახელმწიფო ბიუროკრატის ხელფას, პენსიონერებს პენსიას და აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს? ოფიციალური მონაცემების თანახმად ამ ყველაფერს საქართველოს მოსახლეობის 13% აკეთებს.

საქსტატის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა: 3,718,200 (100%), საიდანაც:

- ✓ **53.7% არის სამუშაო ძალა - 1,998,324**

- ✓ **47.4% არის დასაქმებული - 1,763,264,**
- ✓ **20.0% არის დაქირავებული - 745,362,**
- ✓ **13.0% არის კერძოს ექტორში - 483,152**

გამოდის, რომ 13.0% ქმნის მთელი ეკონომიკის 90%-ზე მეტს. 13.0% იხდის 887,300 ადამიანის პენსიებს, არჩენს 262,210 საჯარო მოხელეს, ასწავლის 564,700 მოსწავლეს, 140,300 სტუდენტს და ა.შ.

სპეციალისტების შეფასებით, იმისათვის რომ ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალოს, აუცილებელია ეს 13 % მინიმუმ გაორმაგდეს, ანუ გაიზარდოს კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. მათივე განმარტებით, ქართული ეკონომიკის სტაგნაცია გამოწვეულია ხელმისაწვდომი იაფი ფულის არარსებობით და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ საქართველოში კერძო სექტორი ვერ ვითარდება.

ეკონომისტები აცხადებენ იმასაც, რომ ფული, რომელიც კერძო სექტორის განვითარებას სჭირდება, დღეს მხოლოდ ბანკებს აქვთ. ბანკები კი ნომენკლატურულ - ელიტარული სისტემაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ მოგებაზეა ორიენტირებული. შექმნილ სიტუაციაში ერთ-ერთ გამოსავლად სპეციალისტები საინვესტიციო ფონდების და საფონდო ბირჟის განვითარებას ასახელებენ, ისე როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია. მათი თქმით, ჯანსაღი ეკონომიკისთვის აუცილებელია საბანკო სექტორი იზოლირებული იყოს სხვა სექტორებისაგან. „ბანკებს პირდაპირი და უშუალო ინტერესი აქვთ,რომ სხვა სექტორში მოღვაწე კონკურენტი კომპანიები ჩაძირონ და გააკოტრონ, რათა საკუთარი გავლენა გაზარდონ," - აცხადებს ეკონომისტთა ერთი ნაწილი.

საბროკერო კომპანია „კავკასუს ჯგუფის„ დამფუძნებელის გოგი ლოლაძის განმარტებით, კაპიტალის მოძიება ბანკების საქმე არ არის. კომპანიების და ეკონომიკის კაპიტალით მომარაგება საფონდო ბირჟებმა უნდა უზრუნველყონ.

„სწორედაც, რომ საფონდო ბაზარია იმის საფუძველი, რომელიც კომპანიების და ეკონომიკის კაპიტალით მომარაგებას უზრუნველყოფს. დღეს ქვეყანაში ეს რესურსი დეპოზიტების სახითაა საბანკო სისტემაში დალექილი. საბანკო სექტორი ეს ნასესხები ფულია, ხოლო კაპიტალი იმ თანხით ყალიბდება, რასაც ინვესტორები დებენ. ხშირად არასწორი წარმოდგენაა, რომ თითქოს საფონდო ბაზრების მეშვეობით დამწყები ბიზნესისთვის თანხების მოძიება შეუძლებელია, არსებობს პრეცენდენტი, როდესაც ახლადშექმნილი ბიზნესები ამას ახერხებენ. ბანკებმა თავისი საქმე უნდა აკეთონ და ისინი საფონდო ბაზრის საქმეებში არ უნდა ერეოდნენ. რათა ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონდეს,“- აცხადებს გოგი ლოლაძე.

კერძო სექტორის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს ფინანსისტი გიორგი ჩუგოშვილიც. მისი თქმით, ეკონომიკურ დოვლათს ქმნის და გადასახადების იხდის ძირითადად სწორედ კერძო სექტორი.

საქართველოში გადასახადების 90%-ს იხდის მოსახლეობის 13 %. აღნიშნული ციფრებიდან გარკვეული სახის დასკვნის გაკეთება შეიძლება, პირველი არის ის, რომ საერთო დასაქმებაში თვითდასამქებული ადამიანის წილი ძალიან დიდია. ეს ჩვენი ეკონომიკის დაბალი განვითარების მაჩვენებელია. 13%-ი ძალიან დაბალი მაჩვენებელია, მათ მიერ გადახდილი გადასახადების მოცულობა არ ყოფნის სხვა ყველა დანარჩენის დაფინანსებას. შესაბამისად სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობაც რთულია. ჩვენ მეტი ინვესტიცია და უკეთესი ბიზნესგარემო გვჭირდება. რა თქმა უნდა, კაპიტალის არსებობა საჭიროა. ყველა წარმატებული ეკონომიკა თავისუფალ საბაზრო პრინციპებზეა აწყობილი. საბანკო სექტორი კი ყველაზე კონსერვატული ფინანსური ინსტიტუტია.[1]

[1] https://commersant.ge

1.1. კერძო სექტორთან დაკავშირებული რეფორმები და კანონმდებლობა საქართველოში

საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მოწინავე პოზიციები მოწმობს ბოლო ათწლეულში, თუმცა ეკონომიკური ზრდა საქართველოში არც ისეთი სწრაფია, როგორი მარტივიც ბიზნესის დაწყებაა. ამისთვის საჭიროა, რომ ბიზნესს ჰქონდეს შესაბამისი გარემო და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება. ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 (ივნისი, 2014), აგრეთვე, სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (რომელიც პერიოდულად ახლდება).

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)) კონტექსტში. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სტრატეგიული მიმართულებები და პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ასახულია წინამდებარე სტრატეგიაში, შემუშავებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის, მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს ანალიზის, არსებული შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებების ეფექტიანმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიაში დასახული მიზნების მიღწევა 2020 წლისთვის.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) აქტიური თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ-ის) მხარდაჭერით.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და

ბიზნეს-გარემო, მნიშვნელოვნად არის შემცირებული ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება. რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება: საგადასახადო პოლიტიკა: გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. საქართველოს გააჩნია ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა. ფორბსის 2009 წლის "Tax Misery and Reform Index"-ის მიხედვით საქართველო მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით მე-4 ქვეყანაა ყატარის, არაბთა გაერთიანებული ემირატებისა და ჰონგ-კონგის შემდეგ.

ამჟამად, საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი ნაცვლად 2006 წლამდე არსებული 21 გადასახადისა. საბაჟო პოლიტიკა: საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივ შეზღუდვები (ე.წ. ქვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.

ლიცენზიების და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად, 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა. ამჟამად, ლიცენზიები და ნებართვები გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას და მომსახურების გაწევისას, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ზოგიერთი სპეციფიური საქმიანობისთვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, შემოღებულ იქნა „ერთი სარკმლის" და „დუმილი

თანხმობის ნიშანია“ პრინციპები. ლიცენზიების და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით.[2]

საქართველოს პარლამენტს მუდმივად უწევს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც პირდაპირ აისახება კერძო სექტორის საქმიანობაზე. მხოლოდ გასული ორი წლის განმავლობაში შეიქმნა უამრავი რეგულაცია, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ბიზნესის საქმიანობას. მაგალითად: შეიცვალა საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ბევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ფუნდამენტია; განხორციელდა საპენსიო რეფორმა, რომელიც ეხება ყველა დასაქმებულს, დამსაქმებელსა და არა მხოლოდ მათ; ამოქმედდა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის რეგულაციები; ამოქმედდა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი, რომელიც ეხება ყველა ადამიანს და განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ბიზნესის გარკვეულ სეგმენტზე; გამოცხადდა აკრძალვები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის რეალიზაციის კუთხით, რაც პირდაპირ ეხება უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში; შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა; ასევე, შეიქმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელმაც უნდა დაგვიცვას გამოძიების პროცესში გადაცდომებისგან; მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამართლიანი გარემოს დამკვიდრებისთვის, მათ შორის – კერძო სექტორში. ამ ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება და ყოველი მიღებული ცვლილება პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს კერძო სექტორზე.

ორგანიზაციის სახელწოდება - რეგისტრირებული ბიზნეს ასოციაციების ჩამონათვალი

1. ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham);
2. ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა;
3. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC);
4. ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA) ;

---

[2] (economy.ge/)
დანართი: „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“..

5. საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში;

6. საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი;

7. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG);

8. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;

9 საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია;

10. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია (GSMEA);

11. საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია;

12. საქართველოს საბანკო ასოციაცია;

13. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (GCCI);

14. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი;

15. საქართველოს ხორბლის და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია.[3]

2015 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა დააანონსეს მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში - მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება (შემდგომში - "ესტონური მოდელი"). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებებით, 2017 წლის იანვრიდან ესტონური მოდელი ძალაში შევიდა. საკანონმდებლო ცვლილების მიზანს წარმოადგენდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამეწარმეო საქმიანობის მიღმა და არ გაწევენ სამეწარმეო საქმიანობისთვის დადგენილ წარმომადგენლობით ე.წ სადღესასწაულო ხარჯებს ნორმაზე მეტად, არ შეამცირებენ ურთიერთდამოკიდებულ (ნათესავები დასხვა ახლო ურთიერთობის მქონე პირები) და ოფშორულ კომპანიებთან საბაზრო გარიგებებით დადგენილ საბაზრო ფასს, არ შეიძენენ უსაბუთოდ საქონელს ან მომსახურებას, ნაკლები საბაზრო ურთიერთობები ექნებათ ოფშორულ და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან და სხვ.

[3] (parliament.ge) საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი

საკანონმდებლო ცვლილების დეტალები

რეფორმამდელი მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება * 15% = გადასახდელ მოგების გადასახადს. რეფორმა არ ეხება ფიზიკურ პირებს, მაშ შორის ინდ.მეწარმეებს, ორგანიზაციებს (სსიპ, ააიპ) და საფინანსო ორგანიზაციები, სარეზერვო კომპანიები, ლომბარდები. საფინანსო სექტორი 2020 წლიდან გადადის აღნიშნულ დაბეგვრის რეჟიმზე.

ახალ მოდელზე, ავტომატურად გადადის ყველა იურიდიული პირი, გარდა საფინანსო ბიზნესისა, მათ შორის არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებები. ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

1. განაწილებული მოგება - თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:
   I. დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით;
   II. ურთიერთდამოკიდებული პირისგან საქონლის ან მომსახურების შეძენა საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;
   III. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორები) რეგისტრირებულ პირთან საქონლის შეძენა ან რეალიზაცია საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;
   IV. საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისგან.
2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკირ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.
3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. მაშ შორის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების დანაკლისი;

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი ან კომპანია თუ ზარალზეა, მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯებია 1%-ზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს შემთხვევები, რაც გათანაბრებულია დივიდენდის განაწილებასთან. რეფორმის შედეგად არ იცვლება გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15% რჩება.

რეფორმის შედეგად იცვლება დასაბეგრი ოპერაციის საფუძველზე გამოანგარიშებული მოგების გადასახადი შემდეგი წესით: ზემოთ განხილულია 4 ტიპის დაბეგვრის ობიექტი, ხოლო თუ განსასაზღვრია დასაბეგრი ობიექტის საბაზრო ფასი, ამ შემთხვევაში საბაზრო ფასი გაყოფილი 0,85/-ზე (ე.წ "აგროსვა") და გამრავლებული 15%-ზე. მაგალითად, კომპანიას აქვს 100 ლარი გართობის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის კომპანიის საქმიანობასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 17,64 ლარს ((100/0,85)*15%.

რეფორმის სიახლეს წარმოადგენს მოგების გადასახადების ჩათვლის შემოღება ცალკეულ ოპერაციებზე. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წელს კომპანიებს შეიძლება გადაყვეთ ბალანსზე გაცემული დივიდენდები, კანონმდებლობამ გაითვალისწინა აღნიშნული და სპეციალური ფორმულის საფუძველზე შესაძლებელია 2008 წლიდან 2017 წლამდე მიღებული მიგების დივიდენდების განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვას საქართველოში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების, პოლიტიკოსების, ეკონომისტების, ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან. ყველანი თამხმდებიან იმაზე, რომ მოდელის ამოქმედებას მართლაც დადებითი გავლენა აქვს ბიზნესზე და განსაკუთრებით ეს ეხება მცირე და საშუალო ბიზნესს. თუმცა, საინტერესოა

გავაანალიზოთ რა ხარვეზები აქვს მოდელს და რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული მისი ამიშავება, ასევე, რამდენად მომზადებულნი შეხვდნენ ამ ცვლილებას ბიზნესის წარმომადგენლები.

ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ასევე დაბეგვრას ექვემდებარება გაწეული ხარჯი ან გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა და წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება კოდექსით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, თუ რა ტიპის ორგანიზაციებზე ვრცელდება ესტონური მოდელი. ესტონური მოდელი საქართველოში არ შემოდის ისე, რომ უქმდება წინა მოდელი. არიან სუბიექტები, რომლებზეც ძველი მოდელი კვლავ რჩება ძალაში, ესენია ინფ.მეწარმეები, ორგანიზაციები, არაკომერციული იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორიცაა მიკრომეწარმე, მცირემეწარმე, ფიქსირებული გადასახადის მქონე სუბიექტები, ესტონური მოდელი არ იმოქმესებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული შეღავათები, მაგალითად, მიკრომეწარმეები საერთოდ არ იხდიან მოგების გადასახადს.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტის მოსაზრებით ესტონური მოდელის ამოქმედება ცალსახად დადებითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესზე, რადგან თუ კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას არ გაანაწილოს მიგება, დაზოგილი თანხა რჩება ბიზნესში.

ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ის, რომ მთავრობას მაქსიმალურად უნდა შეემცირებინა ბიუროკრატიული ხარჯები, იმაზე მეტად, ვიდრე ესტონური მოდელით დააკლდებოდა. ბოლოს მივუღეთ ის, რომ მთავრობამ აქციზის გადასახადები გაზარდა, ბიუროკრატია მნიშვნელოვნად არ შეამცირა და შესაბამისაც, რა შედეგიც ჩვენ უნდა მოგვცეს ესტონურმა მოდელმა დღეს იმ შედეგს ვეღარ გვაძლევს. კვლევის მიხედვით დაახლოებით 500-600 მლნ ლარი უნდა სარჩენოდა კერძო სექტორს ამ მოდელით, დღეის მონაცემებით კი ბიზნესს რჩება დაახლოებით 300 მლნ ლარი.

ახალი მოდელით წინასწარ ხდება, მაგალითად, სესხებისა და ოფშორულ კომპანიებთან ურთიერთობის დაბეგვრა. კომპანიებს წინასწარ უძვირდება სესხიც და ოფშორიდან ირთიერთობაც, რაც ბიზნესს ცალსახად არ მოსწონს, მაგრამ ამ დაბეგვრით ფულის გათეთრების რისკებია აღმოფხვრილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რამდენად მომზადებული შეხვდა ბიზნესი მიმდინარე ცვლილებებს. ბიზნესს ჰქონდა 6 თვიანი მოსამზადებელი პერიოდი, რომ გადაწყობილიყვნენ ახალ სისტემაზე და მომზადებული დახვედროდნენ ცვლილებებს. თუმცა ესტონური მოდელი განსაკუთრებით პოპულარულიმას შემდეგ გახდა, რაც მისი ამოქმედების თარიღი მოახლოვდა. საინტერესო საკითხია, რამდენად მომზადებული შეხვდა მოდელს მცირე და საშუალო ბიზნესი და მთავრობას ჰქონდა თუ არა მჭიდრო კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან, ვიდრე განახორციელებდა საკანონმდებლო ცვლილებებს. ზოგიერთი ეკონომისტის შეფასებით მთავრობას ბიზნესთან კომუნიკაციის პრობლემა ნამდვილად აქვს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ესტონური მოდელის დანერგვა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. ყველა თანხმდება, რომ მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა. თუმცა, გასათვისწინებელია ის ფაქტი, რომ მოგების გადასახადის რეფორმით მიღებული ეფექტები ესტონეთში გაცილებით თვალშისაცემია, ვიდრე ეს იქნება საქართველოში, რაც აიხსნება ქვეყნებს შორის საგადასახადო გარემოს განსხვავებებიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონური მოდელის დანერგვით მიღებული ეფექტები საქართველოში უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული და გარკვეულ დაშვებებს ეფუძნება.

როგორც ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები აფასებენ, მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს. იქამდე კი მთავრობამ არ უნდა გაზარდოს მნიშვნელოვნად ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად, იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე და არა გაზრდილი აქციზის გადასახადებით, რომლის ცვლილებაც სპონტანურად, ბიზნესთან კომუნიკაციის გარეშე

განხორციელდა. მეორე უმთავრესი საკითხი არის ხარვეზები მოდელში და ბიზნესის მხრიდან მზაობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლოა, გაუმარტივდეთ დეკლარაციის შევსების პროცედურები, თუმცა თვისებრივად ახალ მოდელზე გადასვლა მათი მხრიდან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და სანამ კომპანიის ფინანსური მენეჯერები გაერკვევიან ახალ სისტემაში, გარკვეული ადაპტაციის პერიოდი არის საჭირო. როგორც ირკვევა, მოდელის დანერგვა გარკვეულ სურთულეებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მთავრობის სწორი კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან. ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რასაც მთავრობა გეგმავს, რომ განახორციელოს უნდა იყოს თანხვედრაში ბიზნეს სუბიექტების ინტერესებთან და უნდა მიიღებოდეს ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად. [4]

საპენსიო რეფორმა და მისი გავლენა ბიზნესზე

როგორც ვიცით, საქართველოში 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საპენსიო რეფორმა. რეფორმა ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც არიან დასაქმებულები ან თვითდასაქმებულები და იღებენ შემოსავალს დასაქმებიდან ან თვითდასაქმებიდან. გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა; ასევე, ვრცელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა. სავალდებულოა ყველა იმ მოქალაქისთვის გარდა არარეზიდენტი პირებისა, რომლებსაც 2018 წლის 6 აგვისტოსათვის ჯერ არ ქონდა შესრულებული 40 წელი.

საპენსიო სქემაში მონაწილეობა ნებაყოფილობითია:

1. ყველა თვითდასაქმებულისთვის, მიუხედავად მისი ასაკისა;
2. ყველა დასაქმებულისთვის, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს იყო 40 ან მეტი წლის.

2019 წლის 1 იანვრიდან საპენსიო სქემაში ავტომატურად გაწევრიანდება ყველა საქართველოში დასაქმებული საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად

[4] ქოქიაური, ლ. (2018). *"ფინანსები" ტომი III.* თბილისი: კალმოსანი. გვ. 479

მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტოსთვის ქალბატონების შემთხვევაში ჯერ არ ქონდა შესრულებული 55 წელი, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში ჯერ არ ქონდა შესრულებული 60 წელი. საქართველოში დასაქმებულ იმ საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან თვითდასაქმებულებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან ავტომატურ გაწევრიანებას, აქვთ უფლება, მაგრამ არა ვალდებულება საპენსიო სქემაში გაწევრიანდნენ ნებაყოფილობით, საპენსიო სააგენტოს საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გზით.[5]

საპენსიო რეფორმა ვალდებულებებს დამსაქმებლებსაც აკისრებს. მათ ფონდში დასაქმებულის ხელფასის 2%-ის მოცულობა უნდა შეიტანონ და განახორციელონ, რაც კომპანიებისთვის დამატებით ხარჯს წარმოადგენს. დასაქმებულისაგან განსხვავებით დამსაქმებლებს არჩევანი არ აქვთ. თუ დასაქმებული ფონდში მონაწილეობას დათანხმდა, მის დამსაქმებელს სხვა გზა არ რჩება და ისიც ავტომატურად ერთვება სქემაში, ეს კი მათთვის ახალი გადასახადის დაწესებასთან საკმაოდ ახლოსაა.

სქემაში ჩართვის შემდეგ კომპანიებს სამი არჩევანი აქვთ:

1. დასაქმებულის საპენსიო ფონდში ჩარიცხონ დასაქმებულის ხელფასის 2% ისე, რომ დასაქმებულის ხელფასის მოცულობა არ შემცირდეს. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის ხარჯები იზრდება. მაგალითად თუ ხელფასი 1000 ლარია, დასაქმებულის ხელფასი დარჩება 1000 ლარი და ამასთან ერთად, დამსაქმებელი კიდევ 20 ლარს ჩარიცხავს ფონდში. ჯამში დამსაქმებლისთვის დასაქმებულის ხარჯი გაიზრდება 20 ლარით.
2. დამსაქმებლებს შეუძლიათ, საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 2% გამოაკლონ დასაქმებულის ხელფასს და ისე მიმართონ საპენსიო ფონდში. ამ შემთხვევაში დამსაქმებლის ხარჯები უცვლელია, მაგრამ დასაქმებულის ხელფასი 2%-ით მცირდება.

[5] (https://www.pensions.ge/) *საპენსიო სააგენტო.*

3. ნებისმიერი სახის თანაფარდობა ხელფასის 2%-ით შემცირებასა და დასაქმებულის შენახვის ხარჯების 2%-ით ზრდას შორის.

საპენსიო რეფორმის ეს ნაწილი ყველაზე მეტად ჰგავს ბიზნესისთვის ახალი გადასახადის დაწესებას, რადგანაც დასაქმებულთა ნაწილისგან (40-წელზე იფროსების) განახვავებით, დამსაქმებლებს არანაირი არჩევანი არ აქვთ. თუ მათი დასაქმებული ფონდში გაწევრიანებას გადაწყვეტს, მათაც სავალდებულო პრინციპით უნდა განახორციელონ კონტრიბუციები.

მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის დაწესება, ან უკვე არსებული გადასახადების დონის ზრდას რეფერენდუმი ესაჭიროება. ეს კონსტიტუციითა და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონით არის განსაზღვრული.

საპენსიო რეფორმით წარდგენილი პროექტი მოსახლეობისა და დამსაქმებლის პერსპექტივიდან გამომდინარე ცხადია, ახალი გადასახადის დაწესებაა, თუმცა სამართლებრივად ამის დამტკიცება რთულია. საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმთანხას, რომელსაც მოქალაქეები და მეწარმეები სახელმწიფოს წინაშე იხდიან და რომელიც საბიუჯეტო პროცესის მეშვეობით იხარჯება. საპენსიო შენატანი კი, იმის გამო, რომ ის ქვეყნის ბიუჯეტში არ ხვდება და ის მოქალაქეებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ უკან უბრუნდებათ, გადასახადის კლასიკურ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს, თუმცა მას სავალდებულოობიდან გამომდინარე გადასახადისთვის დამახასიათებელი სახე აქვს, რაც ბიზნესისთვის დამატებით ხარჯებთან ასოცირდება. [6]

[6] ქოქიაური, ლ. (2018). *"ფინანსები" ტომი III.* თბილისი: კალმოსანი. გვ. 499

1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიკროდონეზე მისი სისტემაწარმომქმნელი კომპონენტების (საწარმოების) ფინანსური სისტემა ხუთი ელემენტისგან შედგება; ესენია: **1) თვითდაფინანსება; 2) პირდაპირი დაფინანსება კაპიტალის ბაზრის მექანიზმების მეშვეობით; 3) საბანკო დაკრედიტება; 4) საბიუჯეტო დაფინანსება და 5) სამეურნეო სუბიექტების ურთიერთდაფინანსება.**

თვითდაფინანსება - ამ შემთხვევაში საუბარია ფირმის საქმიანობის დაფინანსებაზე მისი მოგების გენერირების ხარჯზე. თვითდაფინანსება სახსრების წყაროების მობილიზაციის ყველაზე თვალსაჩინო ხერხია, თუმცა ის ძნელად პროგნოზირებადია გრძელვადიან პერსპექტივაში და შეზღუდულია მასშტაბებით, ამიტომ ბიზნესის განვითარების ნებისმიერი სტრატეგიული მიმართულება გარდაუვლად გულისხმობს დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვას.

დაფინანსება კაპიტალის ბაზრის მექანიზმების მეშვეობით - სავსებით ნათელია, რომ არცერთი საწარმო არ არის შეზღუდული თვითდაფინანსებით. ამის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს; ჯერ ერთი - გენერირებული მოგების სიდიდე ერთობ შეზღუდულია. მეორეც - მოგება- ეს ფული კი არა, დაფინანსების წყაროა, განსხვავების არსი იმაში მდგომარეობს, რომ არის რა დაფინანსების წყარო,მოგება არ არის თავმოყრილი ფულადი სახსრების ანგარიშებზე, მაგრამ დანაწევრებულია ფირმის აქტივების მიხედვით და ამიტომ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უშუალოდ დაფინანსების მიზნით. მესამეც - მოგება, როგორც მესაკუთრეების კაპიტალის ნაწილი, არის ძალზე ძვირი წყარო და ამიტომ მომგებიანია, ფირმას ჰქონდეს რიგი დაფინანსების გარეშე პირებისგან, რომელთა კაპიტალი დაბანდების სხვადასხვა რისკის გამო ფირმისთვის იაფი იქნება, თუმცა აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ერთი გარემოება: ვალით ცხოვრება მომგებიანია მაშინ, როცა ეს ვალი დასაბუთებულია.

საერთოდ, არსებობს ორი ძირითადი ვარიანტი კაპიტალის ბაზარზე რესურსების მობილიზაციისთვის. ესენია წილობრივი და სავალი დაფინანსება. პირველ შემთხვევაში კომპაჯია კაპიტალების ბაზარზე გადის თავისი აქციებით, ანუ სახსრებს ღებულობს

აქციების დამატებითი გაყიდვიდან ან მესაკუთრეების წვლილის გადიდების ხარჯზე. მეორე შემთხვევაში კომპანია უშვებს და ყიდის კაპიტალის ბაზარზე ვადიან ფასიან ქაღალდებს (ობლიგაციებს), რომლებიც მათ მფლობელებს უფლებას ანიჭებს, გრძელვადიან პერიოდში მიიღონ მიმდინარე შემოსავალი მოცემული ობლიგაციური სესხის ორგანიზაციისას განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

თვითდაფინანსებასთან შედარებით კაპიტალის ბაზარი, როგორც კონკრეტული კომპანიის დაფინანსების დასაბუთებული წყარო, პრაქტიკულად, უსასრულოა, თუკი პოტენციური ინვესტორების დაჯილდოების პირობები მიმზიდველია გრძელვადიან პერიოდში, მაშინ შეიძლება დაკმაყოფილდეს საინვესტიციო მოთხოვნები საკმაოდ დიდი მასშტაბებით. თუმცა, მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი, პრაქტიკაში კი ყველა კომპანიას როდი შეუძლია კაპიტალის ბაზრით, როგორც დაფინანსების დამატებითი წყაროების მობილიზაციის საშუალებით სარგებლობა.

ბაზრების ფუნქციონირება, ისევე როგორც მათდამი მისი მონაწილეების მიერ წაყენებული მოთხოვნები გარკვეულწილად რეგულირდება, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე საკუთრივ თვით საბაზრო მექანიზმების მიერ. კერძოდ, სახელმწიფო როლი ვლინდება ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში, რომელიც ეწინააღმდეგება ფინანსური და საწარმოო კაპიტალების სუპერკონცენტრაციას. რაც შეეხება საბაზრო მექანიზმებს, აქ გათვალისწინებული და მხედველობაშუ მიღებული უნდა იქნას კაპიტალის სტრუქტურის, ფინანსური რისკის, საწარმოს, სარეზერვო ნასესხები პოტენციალის ეფექტის ურთიერთდამოკიდებულება.

საბანკო დაკრედიტება - საბანკო კრედიტის მიღება, არაა დაკავშირებული სესხის ამღების წარმოების სიდიდეზე, მიგების გენერირების მდგრადობაზე, კაპიტალის ბაზარზე მისი აქციების გავრცელების ხარისხზე, როგორც ეს გაითვალისწინება საფინანსო ბაზრებზე სახსრების მობილიზებისას. მიმზიდველი კაპიტალის ოდენობა თეორიულად შეიძლება დიდი იყოს, კრედიტის გაფორმება და მიღება შეიძლება გაკეთდეს უმოკლეს დროში და ა.შ., მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ დავარწმუნოთ ბანკირი გასცეს გრძელვადიანი კრედიტი ხელსაყრელი პირობებით.

ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ერთობ დიდი მნიშვნობა აქვს საინვესტიციო ბანკების ქსელის განვითარებას. სწორედ ეს ბანკები არიან ძალზე საჭირონი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რამდენადაც სწორედ ისინი არიან დამაკავშირებელი რგოლი კომპანიებსა და კაპიტალის ბაზრებს შორის (გავიხსენოთ, რომ ტრადიციულად, ბანკი - ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სასესხო, სავალო და შემნახველ საქმიანობას (ოპერაციებს); საინვესტიციო ბანკი - ესაა კომპანია, რომელიც დასპეციალებულია ემისიათა ორგანიზაციაზე, რომელიც ფასიანი ქაღალდების განთავსებისა და ვაჭრობის გარანტიას იძლევა). რუსეთში საინვესტიციო გარემოს მიმდინარე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გარკვეულწილად აისახება ქვეყანაშუ საინვესტიციო ბანკების არარსებობით, ეს, ასევე, განაპირობებს სამამულო ბანკების მიერ შესრულებული ოპერაციების ვიწრო სპექტრს, რაც მნიშვნელოვანწილად შემოიფარგლება კლიენტების მიმდინარე გადახდებთან დაკავშირებული მომსახურებით.

საბიუჯეტო დაფინანსება - ესაა დაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მეთოდი, რომელიც გულისხმობს ფინანსური სახსრების მიღებას სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან. დაფინანსების ამ ფორმის მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ეკონომიკის პირობებში საწარმოს ხელმძღვანელები დაჩვეულნი იყვნენ იმას, რომ დაფინანსების ეს წყარო, პრაქტიკულად უფასოა, ხშირად აქედან მიღებული სახსრები უკან არ ბრუნდება, ხოლო მათი ხარჯვა სუსტად კონტროლდება. რიგი ობიექტური მიზეზების გამო დაფინანსების ეს წყარო სულ უფრო და უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება.

სამეურნეო ობიექტების ურთიერთდაფინანსება - რამდენადაც სამეურნეო კავშირების განხორციელების პროხესში საწარმოები ერთიმეორეს აწვდიან პროდუქციას გადავადებული გადახდის პირობით, ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება ურთიერთდაფინანსების სამითხიც. იმ სახსრების სიდიდე, რომლებიც ანგარიშებზე გაყინულია ანუ უმოძრაოდაა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის საბანკო სისტემის განვითარებასა და მოქნილობაზე. დაფინანსების ამ მეთოდის პრინციპული განსხვავება წინა მეთოდებისგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს

საწარმოს მიმდინარე საქმიანობის მომლევადიანი დაფინანსების სისტემის შემადგენელ ნაწილს, მაშინ როცა სხვა მეთოდებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

ჩამოთვლილი ხერხებით მათი მრავალფეროვნება არ ამოიწურება. ბოლო პერიოდში იქმნება ფირმის საქმიანობის დაფინანსების ახალი ფორმები, მათგან შედარებით მნიშვნელოვანი და სწრაფად განვითარებადია ფინანსური ლიზინგი. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გვიჩვენებს, რომ მსხვილი სამეურნეო სუბიექტების სტრატეგიული დაფინანსების სისტემაში, განსაკუთრებით იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც სისტემაშემქმნელები არიან მსოფლიო, ეროვნული ანდა რეგიონალური მასშტაბით, კაპიტალის ბაზრები, ცხადია, დომინირებულ ადგილს იჭერენ.

საერთაშორისო დაკრედიტების თავისებურებები:

- საერთაშორისო დაკრედიტების თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში შემდეგში მდგომარეობს: ამ ქვეყნების უცხოური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია შეღავათიანი კრედიტებისა და უკანუბრუნებელი სუბსიდიების სახით. ქვეყნების შერჩევა, რომელთაც შეეძლებათ მიეცეთ შეღავათიანი კრედიტები და სუბსიდიები, უპირატესად დამოკიდებულია მათი ეკონომიკური განვითარების დონეზე, მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობენ დაბალგანვითარებული ქვეყნები და პირიქით, დინამიურად განვითარებადი ახალი ინდუსტრიული ქვეყნების დაკრედიტება პირობების მიხედვით მცირედ თუ განახვავდება დასავლეთის ქვეყნების დაკრედიტების პირობებისგან. თუმცა შეღავათიანი კრედიტები მათ მაინც მიეცემათ პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიული მოტივების გათვალისწინებით.
- არ არსებობს საერთაშორისო დაკრედიტების უნივერსალური სისტემა სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის. ყოველი ცალკეული ქვეყნისთვის ყალიბდება საერთაშორისო დაკრედიტების მექანიზმი მისი განვითარების დონის, ეკონომიკური კონიუნქტურის (განსაკუთრებით გადახდისუნარიანობის), წამყვან დონორ ქვეყნებთან დამოკიდებულების და საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტების, სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზარზე რეპუტაციის გათვალისწინებით.

- თანამედროვე მსოფლიო საკრედიტო სისტემა ადაპტირებულია განვითარებადი ქვეყნების სპეციფიკურ პირობებთან, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან მსოფლიო მეურნეობაში. ეს ეხება არა მარტო ოფიციალურ (ორმხრივ და მრავალმხრივ) დაკრედიტებასა და სუბსიდირებას, არამედ კერძო ბანკების კრედიტებსაც.
- კრედიტებისა და სუბსიდიების ძირითად მასას განვითარებადი ქვეყნები იღებენ განვითარებული ქვეყნებიდან, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტებიდან, სადაცმთავარი დონორები განვითარებული ქვეყნებია, ასევე, სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზრიდან. ამიტომ განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო დაკრედიტება უპირატესად ორიენტირებულია დამოკიდებულებით და ურთიერთობებით მსოფლიო მეურნეობაში ცენტრსა და პერიფერიას შორის.

განვითარებადი ქვეყნების დაკრედიტების ფორმები ძირითადად განისაზღვრებაგანვითარების ხელშემწყობი კომიტეტის (KCP) მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით. განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი ახდენს დონორუ და კრედიტორი ქვეყნების საკრედიტო პოლიტისის კოორდინაციას განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში. ეს ორგანიზაცია ახორციელებს სტატისტიკური მონაცემების შეგრივებას და პუბლიკაციას განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო დაკრედიტების შესახებ.

განვითარებადი ქვეყნების მიხედვით კრედიტებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია (სქემა) ასეთია:

I. განვითარების ოფიციალური დაფინანსება;
   1. განვითარებისთვის ოფიციალური დახმარება, მათ შორის ორმხრივი და მრავალმხრივი;
   2. განვითარების ოფიციალური დაფინანსების სხვა ფორმები. მათ შორის ორმხრივი და მრავალმხრივი.

II.საექსპორტო კრედიტები;

III. კერძო კრედიტები და სუბსიდიები;
   1. საერთაშორისო საბანკო დაკრედიტება;
   2. ფასიანი ქაღალდების ემისია;

3. არასამთავრობო ორგანიზაციების უსასყიდლო სუბსიდიები.

რესურსების მოდინების ჯამი (I+II+III).

XX ს. 90-იან წლებში რესურსების მოდინების 4/5 მოდიოდა ოფიციალურ დაკრედიტებასა და დაფინანსებაზე და მხოლოდ 1/5 კერძო წყაროებზე. ოფიციალური დაფინანსებისა და დაკრედიტების დაახლოებით ნახევარი მოდიოდა კრედიტებზე და ნახევარი სუბსიდიებზე, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გაიცემა პრმხრივი არხებით. ოფიციალური ორმხრივი ნაკადები აღემატებოდა მრავალმხრივ ნაკადებს თითქმის ორჯერ. ამ წლებში ოფიციალურ ფინანსურ განვითარებაზე ორმხრივ საფუძველზე მოდიოდა განვითარებად ქვეყნებში შემოსული სასესხო კაპიტალის და სუბსიდიების ნახევარი.[7]

დღესდღეობით საქართველოში კერძო სექტორის ხელშესაწყობად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, როგორც სახელმწიფოს ასევე, უცხოელი ინვესტორების მიერ. ერთ–ერთი ასეთი ინვესტორია ევროკავშრი. ევროკავშირის მიერ განხორციელებული პროექტი მიზნად ისახავს მეწარმეობისა და ბიზნესის მოდერნიზებას მთავრობისა და ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებით, განავითარონ და აამუშაონ კლასტერები და მხარდამჭერი კომპანიები პირდაპირი სტრატეგიული ინვესტიციებითა და დიასპორის ჯგუფებთან უკეთესი კავშირების დამყარებით, ამავდროულად კი აჩვენონ საწარმოებისთვის ამ სტრატეგიების ეფექტურობა. პროექტის მიზნებია:

1. პოლიტიკის შემმუშავებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გაძლიერებული შესაძლებლობები, განსაზღვრონ და განავითარონ კლასტერები;
2. კლასტერული მიდგომის შემუშავება და დანერგვა დაფასოებისა და თესლეულის/ჩითილების სექტორებში;
3. სტრატეგიული ინვესტირების განვითარება და მხარდაჭერა კომპანიებში, რომლებიც საჭიროდაა მიჩნეული კლასტერის გასაუმჯობესებლად;

[7] ქოქიაური, ლ. (2018). *"ფინანსები" ტომი III.* თბილისი: კალმოსანი. გვ. 94

მიგრაციის ინტეგრაცია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პროცესში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამთავრობო დაწესებულებებს (ანუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტს), ასევე კერძო სექტორის განვითარებაში ჩართულ ან მასთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებს, როგორებიცაა საწარმოები და მეწარმეები, საერთო და სექტორული ბიზნეს ასოციაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული ასოციაციები და სავაჭრო გაერთიანებები.

აქტივობებს წარმოადგენს:

- მხარდაჭერა მთელი რიგი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ჩართული არიან კონკრეტული კლასტერების განვითარებაში გეოგრაფიულად შეზღუდული ღირებულების ჯაჭვების წასახალისებლად კლასტერების კოორდინირების, მარკეტინგის, ინოვაციების, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგისა და სხვა მიმართულებების კუთხით;
- სტრატეგიული ინვესტიციები კომპანიებში, რომლებიც საჭიროდაა მიჩნეული კლასტერში გაუმჯობესებების ხელშესაწყობად;
- ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული, კლასტერიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და განხორციელების შესაძლებლობების კონსოლიდაცია;

ადგილობრივი საწარმოების დაკავშირება დიასპორასთან.

პროექტის დასრულებისას მოსალოდნელი შედეგები:

- პოლიტიკის შემმუშავებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გაძლიერებული შესაძლებლობები, განსაზღვრონ და განავითარონ კლასტერები;
- დაფასოებისა და თესლეულის/ჩითილების სექტორებში საპილოტო კლასტერები მუშაობენ ღირებულების ჯაჭვების წასახალისებლად;
- კომპანიებში/პროექტებში სტრატეგიული ინვესტიციებით ვითარდება კლასტერები;

- დიასპორის ჩართულობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

✓ **თანხა:** €5 million

✓ **საინვესტიციო ფოკუსი :** SME, government institutions

✓ **პროექტის ხანგრძლივობა:** 2019 - 2023

✓ **განხორციელების ქვეყნები:** საქართველო

✓ **განმახორციელებელი პარტნიორი:** გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

✓ **ევროკავშირის ბიუჯეტი:** 5 მილიონი ევრო[8]

საპარტნიორო ფონდი კერძო სექტორების დასახმარებლად

საპარტნიორო ფონდი არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი, რომელიც 2011 წელს შეიქმნა, რომელიც, კერძო სექტორთან ერთად, ინვესტირებას ახდენს კომერციულად სიცოცხლისუნარიან პროექტებში. ეს არის პირი, რომელიც მხარს უჭერს პროექტებს საქართველოში 5 მნიშვნელოვან სექტორში: აგრობიზნესის, ენერგეტიკის, წარმოების, ლოჯისტიკის, უძრავი ქონების და ტურიზმის სფეროებში. მისი მისიაა:

• ინვესტორების დახმარება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით

• გაუზიარეთ პროექტთან დაკავშირებული რისკები ინვესტორებთან

• შეისწავლეთ და შეუწყვეთ ახალი ინვესტიციების შესაძლებლობებს

PF– ს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 4 მინისტრისგან (ეკონომიკა და მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა, ფინანსები და სამართლიანობა), კერძო სექტორის წარმომადგენლები და მას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ მინისტრი. PF– ის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ფონდის მანდატი და მიზნები განსაზღვრავს საქართველოს მთავრობას.

[8] https://eu4business.eu/

2019 წლის მაისის მდგომარეობით, PF– ს პროექტები ჯამში $ 2,5 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო ფონდის პორტფელი $ 350 მილიონი აშშ დოლარია.

ინვესტიციის ძირითადი კრიტერიუმები:

• კომერციულად სიცოცხლისუნარიანი პროექტი

• ფონდის მონაწილეობა - პროექტის მთლიან კაპიტალამდე 49%

• გამოცდილი პარტნიორი ან ოპერატორის ხელმისაწვდომობა

საინვესტიციო მანდატი:

• დაფინანსების მთავარი მექანიზმი არის კაპიტალი

• გრინფილდისა და ბრაუნფილდის პროექტები

• საშუალოვადიანი გრძელვადიანი დაფინანსება (5-დან 7 წლამდე)

• განსაზღვრული გასასვლელი სტრატეგია ფიქსირებული IRR– ით, რომელიც გასასვლელია მოსალოდნელი. PF აქციების შეძენა უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული გასვლის პერიოდში. ამასთან, ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, ინვესტორის მოთხოვნით (ადრეული დაფარვის გარეშე)

• პროექტის დაწყება იწყება დაინტერესებული ინვესტორის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის ან / და მიზანშეწონილობის შესწავლით.[9]

პროექტი „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად

პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით.

პროგრამის განხორციელების ეტაპები:

სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია ან პირველად მონაწილეობს მასში, ასევე - მეწარმე სუბიექტს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა.

[9] https://www.fund.ge/

დაფინანსების მიღებამდე მონაწილემ აუცილებელია გაიაროს რამდენიმე ეტაპი:

- ონლაინ აპლიკაციის შევსება: www.enterprise.gov.ge
- ბიზნესიდეების კონკურსი: მოხდება საუკეთესო ბიზნესიდეების ავტორების გამოვლენა და მათი დატრენინგება ბიზნესგეგმების წერაში
- ბიზნესგეგმის წერის ტრენინგი: საუკეთესო ბიზნესიდეების ავტორებს ჩაუტარდებათ ბიზნესგეგმის წერის ტრენინგი
- ბიზნესგეგმების კონკურსი: მომზადებული ბიზნესგეგმების კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას
- თანადაფინანსება - არაუმეტეს 30 000 ლარი

პრიორიტეტებია:

პროგრამის ფარგლებში განიხილება ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობა, გარდა სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებებისა. პრიორიტეტულია შემდეგი ბიზნესიდეები:

- ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები
- განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი
- მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტები
- ახალი ბიზნესის წამოწყება
- ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება
- სოფლად/მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება

პროგრამაში ჩართვის პირობები:

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე
- არ არის საჯარო მოხელე
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე
- გრანტის მოპოვების შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა განახორციელოს მოთხოვნილი გრანტის ოდენობის **10%**, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში **5%**
- არსებულმა ბენეფიციარმა გრანტის მოპოვების შემთხვევაში, უნდა განახორციელოს მოთხოვნილი გრანტის ოდენობის **25%**, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში **15%**
- აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა

პროექტი ხორციელდება საქართველოს მასშტაბით.

1.3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიული მიმართულებები და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა. მშპ-ს ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (12.3%) 2007 წელს დაფიქსირდა. საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მდგრადი აღმოჩნდა 2008 წლის ორმაგი საგარეო შოკის მიმართ. 2008 წელს, მშპ-ს ზრდა 2.4% იყო, ხოლო 2009 წელს მშპ 3.7%-ით შემცირდა, თუმცა, სიტუაცია სწრაფად გამოსწორდა და 2010 წელს მშპ-ს ზრდამ 6.2% შეადგინა. 2011 და 2012 წლებში მშპ-ს ზრდამ შესაბამისად 7.2% და 6.4% შეადგინა. ზრდის ტემპი უმნიშვნელოდ შენელდა 2013 წელს (3,4%), უმეტესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირების ხარჯზე, თუმცა, 2014 წელს, მიუხედავად ზოგადად რეგიონში და საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა. 2014 წელს, მშპ-ში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ვაჭრობაზე, მრეწველობაზე,

ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე. ამავე პერიოდში, 5 ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი იყო მშენებლობა (13.1%), საფინანსო საქმიანობა (9.9%), უძრავი ქონება (8.1%), სასტუმროები და რესტორნები (7.3%), ვაჭრობა (5.8%) და ტრანსპორტი (5.8%).





საგარეო ვაჭრობა: საქართველოს საგარეო ვაჭრობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2004-2014 წლებში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი და იმპორტი დაახლოებით 4.6-ჯერ გაიზარდა. 2014 წელს, საგარეო სავაჭრო ბრუნვამ მიაღწია 11,5 მლრდ. აშშ დოლარს, ექსპორტი - 2,9 მლრდ. დოლარს, ხოლო იმპორტი - 8,6 მლრდ. დოლარს. ამ პერიოდში, ტოპ-5 საექსპორტო პროდუქციას შეადგენდა მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები,

სპილენძის მადნები და კონცენტრატები, თხილი და ღვინოები. ტოპ-5 საიმპორტო პროდუქციას შეადგენდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, მედიკამენტები და სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი და უკრაინა. 2014 წელს, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2,993.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.3%-ით აღემატება. ექსპორტმა 624.1 მლნ. აშშ დოლარი (2.8%-ით მეტი), ხოლო იმპორტმა 2,369.7 მლნ. აშშ დოლარი (4.7%-ით მეტი) შეადგინა. ევროკავშირთან ვაჭრობის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 26% შეადგინა, ექსპორტმა - 22%, ხოლო იმპორტმა - 28% (2013 წელს აღნიშნული მაჩვენებლები იყო შესაბამისად 26%, 21% და
28%). საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დამოუკიდებელ სახელმწიფო თანამეგობრობასთან (CIS) და თურქეთთან (2008 წლიდან), უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან და პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP+) ევროკავშირთან (7200 დასახელების პროდუქტზე) 2005 წლიდან. ევროკავშირთან DCFTA შევიდა ძალაში 2014 წლის 1სექტემბრიდან. 2015 წელს საქართველომ დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: სამეწარმეო, საინვესტიციო და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო საქართველოში მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. 2007 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ს 20%-ს მიაღწია. 2006-2014 წლებში, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუმულატიურმა მოცულობამ 9,8 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში უმსხვილესი წილი ეკავა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას (მთლიანი ინვესტიციების 25%), მშენებლობას (18%), გადამამუშავებელ მრეწველობას (12%),

ენერგეტიკას (11%), უძრავ ქონებას (8%), სასტუმროებსა და რესტორნებს (7%) და ფინანსურ სექტორს (6%). ამავე პერიოდში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ ნიდერლანდები (მთლიანი ინვესტიციების 21.3%), აზერბაიჯანი (19.4%), ჩინეთი (12.4%), აშშ (10.3%), ლუქსემბურგი (6.2%) და გაერთიანებული სამეფო (6.1%). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 46.6% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 25.5% - დსთ-ს ქვეყნებზე.

სამეწარმეო საქმიანობა: 2006-2014 წლებში, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 3.4-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 50 მლრდ. ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ბიზნეს სექტორის გამოშვება 3.5-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 26 მლრდ. ლარს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 361 000-დან 592 147-მდე. 2014 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე (23.5%), მრეწველობაზე (19.6%), მშენებლობაზე (11.4%), უძრავ ქონებაზე (10.0%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.0%) და ჯანდაცვაზე (9.8%). საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ამ პერიოდში 286 ლარიდან 801 ლარამდე გაიზარდა. 2006-2014 წლებში ბიზნეს სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა 3,5 მლრდ. ლარიდან 12,8 მლრდ. ლარამდე, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - 2,1 მლრდ. ლარიდან 3,6 მლრდ. ლარამდე. 2014 წელს, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის დიდი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე (50.5%), მრეწველობაზე (18.0%) და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.3%), ხოლო გამოშვების - მრეწველობაზე (31.5%), ვაჭრობაზე (17.1%), მშენებლობასა (15.7%) და ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე (13.8%).

საქართველოს მომავალი განვითარების, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები მოცემულია შემდეგ ძირითად დოკუმენტებში - „საქართველოს სოციალურ- ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველოს 2020“ (2014 წელი) და სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (2015 წელი). ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია ძლიერი კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობა.

2020 წლამდე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები მოცემულია „საქართველო 2020“-ში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ

იქნა 2014 წლის ივნისში. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა აგებულია შემდეგ პრინციპებზე: სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება კონკურენტუნარიან კერძო სექტორს, ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

„საქართველო 2020“-ში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ეფუძნება ასოცირების შეთანხმებით და DCFTA-ით გათვალისწინებულ პოლიტიკის ღონისძიებებსა და ზომებს.

„საქართველო 2020“ ეფუძნება კერძო სექტორის თავისუფლებას ეფექტიანი, გამჭვირვალე და ოპტიმალური მთავრობის პირობებში. სტრატეგიაში განსაზღვრულია როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი მთავარი ფაქტორები, ასევე, შესაბამისი ჰორიზონტალური ღონისძიებები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია, ვინაიდან იგი წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარებას.

„საქართველო 2020“-ის სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება და შესაბამისი პოლიტიკის მიმართულებები:

პრიორიტეტული მიმართულება 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა

პოლიტიკის მიმართულებები: საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

პრიორიტეტული მიმართულება 2: ადამიანური კაპიტალის განვითარება

პოლიტიკის მიმართულებები: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტული მიმართულება 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

პოლიტიკის მიმართულებები: საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა.

„საქართველოს 2020“-ის ეფექტიანი განხორციელებისთვის საკვანძო წინაპირობებს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა.

სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“

სამთავრობო პროგრამა განსაზღვრავს მთელ რიგ პრიორიტეტებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით. უახლოეს მომავალში მისაღწევ მიზანთა შორის უმთავრესად დასახელებულია უმუშევრობის და სიღარიბის შემცირება. პროგრამაში ასევე ხაზგასმულია მეწარმეობის მხარდაჭერის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო და დამწყები მეწარმეობის (start-up) განვითარების ხელშეწყობის (სამეწარმეო ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების, ინოვაციებზე და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესები გზით და სხვა) აუცილებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესების განვითარების მხარდაჭერას ტრეინინგების, ფინანსებზე და ინოვაციებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტიტუტების, მექანიზმებისა და საშუალებების განვითარების, მათი ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. 2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015): სტრატეგია განსაზღვრავს აგრობიზნესში მოქმედი მეწარმე-სუბიექტების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერას, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარებას. სტრატეგია ასევე მოიცავს აგრობიზნესში მოქმედი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას ბაზარზე არსებული მოთხოვნების

შესახებ ინფორმაციის მიწოდების, DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის მხარდაჭერის, სპეციფიური ტრეინინგების, ექსპორტის მხარდაჭერის და სხვა გზებით. DCFTA-ის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა (2014): მოიცავს, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სპეციალურ ღონისძიებებს, როგორიცაა DCFTA-ის ფარგლებში დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელებისთვის ადგილობრივი მეწარმეების მომზადება, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით (მათ შორის: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ექსპორტის ხელშეწყობა, პროდუქტების განვითარება, კონსულტაციები და სხვა). პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლებისთვის (2013): მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობას, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით

და სხვა. სტრატეგიაში მოცემულია კონკრეტული ამოცანები და აქტივობები ამ მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. სტრატეგიაში, მისი ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალური პარტნიორების, მათ შორის, ბიზნეს-სექტორის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე, რაც მნიშვნელოვანია ბიზნესის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური რესურსის განვითარებისთვის.[10]

[10] economy.ge/. *დანართი: „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“.*

თავი II. ფინანსური ჩართულობის სერვისები კერძო სექტორის განვითარებაში

2.1. ფინანსური ურთიერთობების სუბიექტები

საერთაშორისო ფინანსების სუბიექტები განოხილება მიკრო, მაკრო, მეზო და მეგადონეებზე. მიკროდონეზე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება კორპორაციის ფინანსების დეტალურ შესწავლას და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვას. საერთაშორისო ფინანსების სუბიექტები მიკრო დონეზე არის ეროვნული ფირმები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგარეო ეკონომიკირ საქმიანობაში. განსაზღვრულ პირობებში ეროვნულ ფირმებს შეუძლიათ გამოიყენონ სესხის აღებია არა მარტო ეროვნული, არამედ უცხოური და ევროსავალუტო წყაროები, განახორციელონ ინვესტიციები სხვა ქვეყნების ბაზრებზე, გამოიყენონ საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ინსტრუმენტარიუმი სხვადასხვა სახის რისკების დასაზღვევად და პირველ რიგში სავალუტო, სავალუტო-საპროცენტო, საქვეყნო რისკების დასაზღვევად. ატარებენ რა ოპერაციებს სხვადასხვა ვალუტებში, ისინი მუშაობენ კომერციულ ბანკებთან, რომლებიც ახორციელებენ მათთვის ფულადი სახსრების გადარიცხვას ერთი ვალუტიდან მეორეში.

მეზოდონეზე საერთაშორისო ფინანსების მონაწილეები არიან კომერციული ბანკები. უცხოურ და საერთაშორისო ბაზრებზე მუშაობისთვის ისინი მთლიანად ორგანიზაციული ერთეულების გარკვეულ ევოლუციას განიცდიან, თვით ბანკებში საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტების გახსნიდან დაწყებული და უცხო ქვეყნების ტერიტორიაზედა ოფშორულ იურისდიქციაში წარმომადგენლობების, ფილიალებისა და შვილობილი ბანკების გახსნით დამთავრებული.[11]

მეგადონეზე საერთაშორისო ფინანსების სუბიექტებად გამოდიან საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
- მსოფნიო ბანკის ჯგუფი;

[11] ქოქიაური, ლ. (2018). *"ფინანსები" ტომი III.* თბილისი: კალმოსანი. გვ. 217

- ბაზელის ბანკი;
- საერთაშორისო ანგარიშსწორების ინსტიტუტი (BIS);
- ტრანსეროვნული და საინვესტიციო ბანკები(CSFB,Citi bank Corp);
- ტრანსეროვნული კომპანიები;
- საპაიო ფონდები, გლობალური ჰეჯერული ფონდები;
- სახელმწიფოთა გაერთიანებები;
- საერთაშორისო რეიტინგული სააგენტოები (Moody's Investors Services, Standard &Poor's, Fitch IBCA);
- საერთაშორისო აუდიტორული (Price Waterhous, Coopera, KPMG) ფირმები;
- იურიდიული (Lliford Chance, BakergMackenzic) ფირმები;
- კრედიტორების პარიზის, ტოკიოს და ლონდონის კლუბები;
- საერთაშორისო საინფორმაციო სისტემები;
- საერთაშორისო საგადასახადო სისტემები;
- მსოფლიო წამყვანი საფონდო ბირჟები და ა.შ. [12]

[12] ქოქიაური, ლ. (2018). *"ფინანსები" ტომი III.* თბილისი: კალმოსანი.

2.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო

საერთაშორისო ფინანსებში წამყვანი როლი ეკუთვნის საერთაშირისო ორგანიზაციებს, პირველ რიგში საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ), რომელიც არის მსოფლიო სავალუტო სისტემის ინსტიტუციონალური საფუძველი. იგი უზრუნველყოფს გადასახადების მსოფლიო სისტემის სიცოცხლისუნარიანობას, ატარებს იმ ქვეყნების მიმართ ეფექტიან პოლიტიკას, რომელთაც კრედიტები სჭირდებათ და ასრულებს მაკოორდინირებელ ფუნქციას მონაწილე ქვეყნების ფინანსურ პოლიტიკაში. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა ამ საერთაშორისო ინსტიტუტის სერიოზული რეფორმირების საკითხი.

სსფ შეიქმნა საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომელიც ჩატარდა ბრეტონ-ვუდსში 1-დან 22ივლისამდე 1944 წელს. ოფიციალურად ფუნქციონირება დაიწყო 1945 წლის 27 დეკემბერს, როცა 29 ქვეყნის წარმომადგენლებმა შეთანხმებას ხელი მოაწერეს, რაც არის ფონდის წესდება. ოპერაციების განხორციელება ფონდმა დაიწყო 1947 წლის 1 მარტს, დღეისთვის სსფ-ის წევრია 183 ქვეყანა.

სსფ შეიქმნა იმისთვის, რომ დახმარებოდა ქვეყანათა საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას და ხელი შეეწყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და დაბალანსებული ზრდისთვის. სსფ არის მსოფლიო ფულადი სისტემის შემადგენელი ნაწილი, იგი რეალურ დახმარებას სთავაზობს ცალკეულ ქვეყნებს სავალუტო ფინანსური კრიზისების დროს, აწვდის მათ სახსრებს სტაბილიზაციური პროგრამების განსახორციელებლად ამქვეყნების ტერიტორიაზე. ფონდის ფინანსური დახმარება გადაეცემა ქვეყანათა მთავრობებს, რომლებიც განიცდიან სიძნელეებს საგადასახადო ბალანსთან მიმართებაში.[13]

საქართველოსათვის ფინანსური რესურსების საზღვარგარეთიდან მოზიდვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, სახსრების მოზიდვის ერთ-ერთ წყაროს კი საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმოადგენს. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდში

[13] ქოქიაური, ლ. (2018). *"ფინანსები" ტომი III.* თბილისი: კალმოსანი. გვ. 219

გაწევრიანდა მაშინ, როცა მის წევრ-სახელმწიფოთა რიცხვი 170 იყო. საქართველოს წილი, კვოტა (ანუ გადაწყვეტილების მისაღები ხმა) ამ ორგანიზაციაში 0.08 პროცენტია.

მას შემდეგ, რაც საქართველო სსფ–ის წევრი ქვეყანა გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელდა არა ერთი პროგრამა საქართველოში. ჯერ კიდევ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო დადგა ისეთი რთული სიძნელეების წინაშე, როგორიცაა გაზრდილი ფასები ენერგო რესურსებზე, საერთაშორისო ვაჭრობაში წარუმატებლობა, მაღალი გადასახადები და სხვ. ამის საფუძველზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსათვის გამოეყო შეღავათიანი კრედიტები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას ყოველ ვიზიტზე მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, თავის რეკომენდაციებს სთავაზობს.

1996 წელს საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოუყო სარეზერვო შეთანხმების საფუძველზე 72.15 მილიონი SDR, რაც ექვივალენტური იყო 133 მილიონი დოლარისა. სესხი მიმართული იყო ეკონომიკური სტაბილურობისა და რეფორმების განსახორციელებლად. მანამდე საქართველო დიდი ეკონომიკური კოლაფსის წინაშე იდგა. ქვეყანაში იყო ჰიპერინფლაცია და ეკონომიკური არასტაბილურობა. აღნიშნული პროგრამის შედეგად ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი ყოველთვიურად 1%-მდე მცირდებოდა, ყოველწლიური შემცირების დონემ 12-15%-ს მიაღწია. ამასთან აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა - დაახლოებით 6%-ით.

თუ სსფ-სა და საქართველოს მრავალწიან ურთიერთობას გადავხედავთ 2004 წლამდე, ვნახავთ, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც საერთაშორისო დონორი საქართველოში მუშაობდა, ჯერ არ ყოფილა წელიწადი, ფონდისაგან მიტოვების საფრთხე არ დამუქრებოდა საქართველოს ან პროგრამების განხორციელება არ შეწყვეტილიყო. მისი რეკომენდაციები ჩვეულებრივ არასოდეს სრულდებოდა. მთელი ამ წლების განმავლობაში ფონდის მისიას სერიოზული ჩავარდნები და არანაკლებ სერიოზული წარმატებები ჰქონდა. 2004 წლის 21 იანვარს სსფ-ის დირექტორთა საბჭომ იმსჯელა საქართველოში მათი პროგრამის პერსპექტივებზე. სსფ-ის შეფასებით რეჟიმის ცვლილებამ საქართველოში

ახალი პერსპექტივები გააჩინა. სსფ-სგან საქართველომ მიიღო შემდეგი რეკომენდაციები: ბრძოლა კორუფციის, კონტრაბანდის, გადასახადების დამალვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ. 2007 წლის 30 სექტემბერს დასრულდა "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის" პროგრამა. გამოიყო ამ პროგრამით გათვალისწინებული ბოლო ტრანში 21.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, პროგრამის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, მიმდინარე წლის ივნისში თბილისში ვიზიტად მყოფი სსფ-ის ახლო აღმოსავლეთის და შუა აზიის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ჯონვეიკმან-ლინი აღნიშნავდა, რომ ფონდმა საქართველოს მთავრობას ურთიერთთანამშრომლობის ალტერნატიული პროგრამები შესთავაზა. ეს იყო სიღარიბის დაძლევის და ზრდის, ერთწლიანი, შედარებით მაღალპროცენტიანი დახმარების პროგრამა და პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სსფ-ის მხრიდან პოლიტიკური რეკომენდაციების გაცემას მოითხოვდა და არა ფულად დახმარებას.

2008 წლის 9 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად, თხოვნით მიმართა სსფ-ის დირექტორ-განმკარგულებელს, 18-თვიანი ეკონომიკური პროგრამის საფუძველზე Stand-by-ის მექანიზმის ფარგლებში, კრედიტის გამოყოფის შესახებ. თხოვნის უშუალო მიზეზი 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებები გახდა. აგვისტოს ომის უშუალო ეკონომიკური შედეგებიდან სსფ-მ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა "ნდობის დეფიციტის" წარმოქმნას, რაც შემდეგ მოვლენებში აისახა: ერთბაშად დამუხრუჭდა კერძო სექტორში უცხოეთიდან კაპიტალის ნაკადების შემოდინება, ბაზარზე მკვეთრად იკლო უცხოური ვალუტის მიწოდებამ - მხოლოდ აგვისტოში ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 330 მლნ აშშ დოლარით ანუ 23 პროცენტით შემცირდა; დაიწყო ბანკებიდან დეპოზიტების გაზიდვა. მათი მოცულობა აგვისტოში 400 მლნ ლარით ანუ 14 პროცენტით შემცირდა; პიკს მიაღწია ქვეყნის რისკის მაჩვენებლებმა. ლიკვიდობის პრობლემის გამწვავებას ბანკებმა დაკრედიტების მკვეთრი შეზღუდვით უპასუხეს; Stand-by - ის საკრედიტო მექანიზმით სარგებლობის 18 თვის მანძილზე, საქართველომ აიღო გარკვეული ვალდებულებები, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო, იმისდა მიუხედავად, ისარგებლებდა თუ არა ქვეყანა კრედიტის სრული

მოცულობით. 2011 წლის ოქტომბერში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტების და ნორმების შესაბამისობის შეფასების მისია იმყოფებოდა. მისიის მიზანი ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის სისტემის შეფასება იყო. სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის შემაჯამებელ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ წინა მსგავსი მისიის შემდეგ საქართველოს შთამბეჭდავი მიღწევები აქვს სტატისტიკის იმ სფეროებში, რომლებსაც შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს.

2014 საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამის მხარდასაჭერად 100 მილიონი SDR-ის ოდენობით, 36-თვიანი „სარეზერვო დაფინანსება“ დაამტკიცა. (დაახლოებით 154 მილიონი აშშ დოლარი, ანუ საქართველოს ქვოტის 67%). საბჭოს გადაწყვეტილება 40 მლნ SDR–ის დაუყოვნებლივ გამოყოფას ითვალისწინებს. ხოლო დარჩენილი თანხა გადანაწილდება პროგრამის მსვლელობისას. აღნიშნული თანხებით დაფინანსდა ხელისუფლების ეკონომიკური რეფორმის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობას და ეკონომიკის საგარეო შოკებისადმი მდგრადობის გაძლიერებას. "იმისათვის, რომ მოხდეს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მშპ-ს 3%– მდე 2015 წლისათვის, ხელისუფლება მიმართავს ისეთ ზომებს, როგორებიცაა აქციზის გაზრდა თამბაქოზე და ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ჯამური მოცულობის ზომიერი ზრდა. ამავდროულად, მიმდინარე ხარჯების სხვა კატეგორიები შენარჩუნდება უცვლელ დონეზე რეალურ გამოხატულებაში. დეფიციტის 46 შემცირების მთავარ პრინციპია არ მოხდეს ისეთი ზომების გატარება, რომლებიც არაპროპორციულ გავლენას იქონიებს ღარიბ და სოციალურად დაუცველ ფენებზე", აცხადებს ფონდი.

ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი, რაც საქართველოსთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობას აქვს, ეკონომიკის ექსპერტების აზრით არის ის, რომ ხელისუფლების მხრიდან ,,ხალხური თვითშემოქმედების” ელემენტების გამოყენების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი, როგორიცაა მაგალითად, ,,გაბერილი” საგარეო ვალების წარმოქმნა ხელოვნურად გაზრდილი ე.წ. საკლირინგო ფასების გამოყენებით, ან ხორბალზე და ფქვილზე ადგილობრივი და იმპორტიორი მეწარმეების განსხვავებული

რეჟიმით დაბეგვრა და ამ საკითხის ფონდთან შეთანხმების მცდელობა, ან საგადასახადო ამინისტიის ნების გამოცხადება და შესაბამისი პროგრამის შეთანხმების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარდგენა, ან ცალკეულ პიროვნებებზე "მოსარგებად" ქვეყნის საფინანსო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის "დამახინჯება", ან სახელმწიფო ბიუჯეტის შესასრულებლად კომერციული ბანკების უშუალო სესხების გამოყენება, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს, ან გაუცემელი პენსიების ნაცვლად სხვადასხვა სახეობის პროდუქტების დარიგება და მომსახურების გაწევა და ა.შ; რომ არა სსფ-ის აქტიური ზეწოლა, მაშინ მაგალითად, პენსიების ნაცვლად ფქვილის დარიგება იქნებოდა და საერთო, ყოვლისმომცველ კანონზომიერებად იქცეოდა, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსებს სრულად დაანგრევდა.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, ისევე როგორც საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, სავალუტო ფონდი მნიშვნელოვანი პარტნიორო ორგანიზაციაა. საქართველოსთვის, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სავალუტო ფონდის რეკომენდაციებმა, მიუხედავად შემდგომ პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა, მნიშნელოვანი როლი შეასრულეს.

რეკომენდაციები და შეფასებები, რომელსაც IMF საქართველოს მთავრობებს უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სთავაზობს, ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ასევე ზოგადი მაკროეკონომიკური სურათის გასაუმჯობესებლად, პოზიტიური გავლენის მომხდენია.

ამას ემატება ფინანსური ტრანსფერები საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის გასაუმჯობესებლად. მაგალითად ერთ–ერთი ბოლო პროგრამის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დონეზე მიღწეულია შეთანხმება საქართველოში 3 წლიანი პროგრამის დაწყებაზე, რომელიც დაფინანსდება 285 მილიონი აშშ დოლარით „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით".

პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს მიაღწიოს ინკლუზიური ზრდის მაღალ ტემპს, უზრუნველყოს ქვეყნის ფისკალური მდგრადობა, შეამციროს ეკონომიკის

მოწყვლადობა საგარეო შოკების მიმართ, გააძლიეროს ფისკალური და მონეტარული ინსტიტუციები და გააუმჯობესოს ფინანსური და სოციალური დაცვის მექანიზმები. „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი“ აგრეთვე მხარს უჭერს ხელისუფლების ეკონომიკურ რეფორმებს.[14]

2.3. მსოფლიო ბანკი და საქართველო

ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზევე გადაწყდა ასევე კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის შექმნა, რომელიც თავის ძალისხმევის კონცენტრაციას ახდენს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების დახმარებაზე. 2015 წლისთვის ბანკმა განახორციელა 100-ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში სხვადასხვა პროექტი, რომელშიც ჩაიდო 15 მლრდ დოლარზე მეტი.

მსოფლიო ბანკი თანამშრომლობს მხოლოდ სსფ-ის წევრ წვეყნებთან. აქედან გამომდინარე, საქართველო მისი მოკავშირე ქვეყანაა. საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი 1992 წლის 7 აგვისტოს გახდა. ამ დროიდან მსოფლიო ბანკმა 69 ეკონომიკის პროექტზე დასაფინანსებლად გამოყო დათმობილი კრედიტები და სესხები, რომელთა ჯამური ღირებულება 2.7 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ამჟამინდელი პორტფელი მოიცავს 12 აქტიურ ინვესტიციურ პროექტს და განვითარების პოლიტიკის ოპერაციებს, რომელთა ჯამში 789 მილიონი აშშ დოლარია.

ბოლო 25 წლის განმავლობაში, მსოფლიო ბანკის პარტნიორობა საქართველოსთან ერთად განვითარდა ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტებთან ერთად. 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირისგან საქართველოს მღელვარე დამოუკიდებლობის შემდეგ, ამხანაგობა დაიწყო 10 მილიონი აშშ დოლარის ინსტიტუტის მშენებლობის

[14] https://bpi.ge/imf-is-mizani-da-tanamshromloba-qveynebtan/

პროექტით , რომელიც მიზნად ისახავდა გაფართოებას ხელისუფლების შესაძლებლობების შესახებ, საქართველო გადასცეს საბაზრო ეკონომიკაში.

2010-2014 წწ . მსოფლიო ბანკმა დაიწყო მთავრობის რეგიონალური განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა, თუმცა პროექტები კახეთისა და იმერეთის რეგიონებში, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო ინვესტიციებზე ტურიზმის ზრდის ხელშესაწყობად.

ბანკმა განაგრძო საქართველოსთვის საბიუჯეტო დახმარების გაწევა, მხარი დაუჭირა კრიტიკულ რეფორმებს საშუალოვადიანი კონკურენტუნარიანობის და ზრდის საფუძვლების გასაძლიერებლად, სოციალური ინკლუზიის განვითარების დროს .

2011 წლის იანვარი - ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის სათავო ოფისში, გამოიცა წიგნი "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებრივ სამსახურებში: საქართველოს რეფორმების ქრონიკირება".

2012 წლის მარტი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა $ 60 მილიონი აშშ დოლარის სესხი კახეთის რეგიონში პირველი რეგიონალური განვითარების პროექტისათვის.

2014 წლის მაისი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია (CPS) 2014-2017 წლის სავალუტო პერიოდისთვის.

2014 წლის ივნისი - საქართველო ამთავრებს საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA).

2014 – 2017 წწ. – ვალდებულებების უმეტესობა კონცენტრირებულ იქნა მიმდინარე აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილზე და მეორეხარისხოვანი გზების პროექტებზე, რასაც მოჰყვა ურბანული განვითარების, ენერგეტიკისა და სარწყავი სექტორები. საინვესტიციო პორტფელი ასევე მოიცავდა საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ფირმებისა და პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდას და მათ მონაწილეობას ციფრულ ეკონომიკაში.

პარალელურად მიმდინარეობს განვითარების ორი პოლიტიკის საოპერაციო (DPO) სერია, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო დახმარებას, <u>პროგრამულ ინკლუზიური ზრდის DPO</u> და <u>კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას</u> .

2015 წლის მარტი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა IBRD სესხი 40 მილიონი აშშ დოლარი აშშ-ს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტისათვის.

2015 წლის ნოემბერი - თბილისის კატასტროფის საჭიროებების შეფასება გაკეთდა 2015 წლის ივნისში დესტრუქციული ფლეშ წყალდიდობის შედეგად.

2015 წლის დეკემბერი - მსოფლიო ბანკის ჯგუფის ტექნიკური და ფინანსური დახმარებით დაიწყო პირველი საქართველოს ეროვნული ტურიზმის სტრატეგია 2025.

2016 წლის აპრილი - თბილისის ბიზნეს ფორუმი: ინოვაცია და ციფრული ეკონომიკა. მსოფლიო განვითარების ანგარიში 2016: ციფრული დივიდენდები ამოქმედდა თბილისის ტექნოლოგიურ პარკში.

2016 წლის ნოემბერი - ამოქმედდა პირველი სისტემური ქვეყნის დიაგნოზი.

2017 წლის მაისი - თბილისში დაიწყო „ვაჭრობა ტრანზიციით“, ევროპისა და ცენტრალურ აზიის უახლესი ეკონომიკური განახლება.

2017 წლის სექტემბერი - მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საქართველო აღნიშნავენ 25 წლიან პარტნიორობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის ინვესტიციების პორტფელი ძირითადად ინფრასტრუქტურაში იყო, საერთო პარტნიორობა უფრო ფართო იყო დიალოგის სიღრმისეულ დიალოგთან და ანალიტიკურ და ცოდნის აქტივობებთან მრავალ სფეროში, განსაკუთრებით, როგორც ორი ურთიერთთანამშრომლობის ფორმა.

ბანკი აგრძელებს საქართველოში ჯანდაცვისა და განათლების სექტორების მხარდაჭერას ტექნიკური დახმარებისა და DPO– ების საშუალებით. საქართველოსთვის ახალი სისტემური ქვეყნის სადიაგნოსტიკო (SCD) ამოქმედდა 2017 წლის დასაწყისში, ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კონსულტაციით,

ქვეყნის წინაშე მდგარი ყველაზე კრიტიკული შეზღუდვების და შესაძლებლობების დადგენის მიზნით.[15]

[15] https://www.worldbank.org/en/news/feature/2017/08/24/world-bank-georgia-25-years-of-partnership

თავი III.ფინანსური ჩართულობა კოვიდ 19-ის პირობებში

3.1. დონორების ჩართულობა და კოორდინაცია საქართველოში

COVID-19–ის პანდემია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისი უპრეცედენტო სისწრაფით ღრმავდება და მსოფლიოს ეკონომიკას რეცესიისკენ უბიძგებს. მოსალოდნელია, რომ მისი გავლენა მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე უარესი იქნება, ხოლო ეკონომიკური ზარალი ყველა ქვეყანაში გაიზრდება. საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც ტურიზმზე, ვაჭრობაზე და საზღვარგარეთიდან შემოსულ ფინანსურ გზავნილებზეა დამოკიდებული, განსაკურთებული რისკის ქვეშ დგას ამ პანდემიის გამო.
საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, აქვეყნებს მთავრობისა და საზოგადოებისადმი ევროკავშირისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართვას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ორგანიზაციები სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ დაეხმარონ COVID-19-ის მიერ დაზარალებულ ქვეყანას.

საქართველოს ხელისუფლება, საჯარო და კერძო სექტორი და ქართველი ხალხი პანდემიას ძალზე მედგრად და თანამშრომლობაზე დამყარებული მიდგომით დახვდნენ. ვირუსის გავრცელებისთანავე განხორციელებულმა სწრაფმა და გადამწყვეტმა ქმედებამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის შემდგომი გავრცელების შესაჩერებლად და დაიმსახურა საერთაშორისო შექება. დაიწყო დახმარების სქემების შემუშავება ბიზნესებისა და მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად და მიმდინარეობს მათი მხარდაჭერის გეგმების შემუშავება.

ცხრილიN1

ორგანიზაც. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	წლიური ასიგნება	კვარტალური გეგმა (ნაზარდი ჯამი)	წლიური ვალდებულება	გადახდა
27 02 06 03 02	ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)				

	შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქება (ფულადი დახმარება/კომპენსაცია ინდ.მეწარმეებისა და გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირებისათვის)				
00	ჯამური	92,767,000.00	78,267,000.00	87,767,000.00	51,538,700.00
2	ხარჯები	92,767,000.00	78,267,000.00	87,767,000.00	51,538,700.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	92,767,000.00	78,267,000.00	87,767,000.00	51,538,700.00
2.7.2	სოციალური დახმარება			87,767,000.00	51,538,700.00
2.7.2.1	სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით			87,767,000.00	51,538,700.00

ფისკალური რესურსების გონივრულმა გამოყენებამ და ბოლო წლების განმავლობაში რეზერვების დაგროვებამ საქართველოს ეკონომიკა უკეთესად მოამზადა კრიზისის ეკონომიკურ შედეგებთან გასამკლავებლად. წარმატებით გატარებული სტრუქტურული რეფორმების შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია კრიზისზე მტკიცე რეაგირება, ქვეყნის მომავლის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე. მიუხედავად ამისა, კრიზისის უპრეცედენტო ხასიათის გათვალისწინებით, საჭირო იქნება დიდი მოცულობის ინვესტიციები და ფინანსური დახმარება ჯანდაცვის სექტორის სათანადოდ აღჭურვისთვის მომავალ გამოწვევებთან გასამკლავებლად. არავინ უნდა გამოგვრჩეს. საჭიროა დაუცველი ბიზნესებისა და მოსახლეობის მხარდაჭერა, რომ შოკს გაუძლონ. უნდა გაგრძელდეს ინვესტიციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაში, მოხდეს გარღვევის შემცირება ქვეყნის ფინანსებში და ქვეყანა ეკონომიკური მედეგობის აღდგენისთვის უნდა მოემზადოს.

ამ პანდემიის დაძლევისთვის საჭიროა ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროებში კოორდინირებული რეაგირება. აზიის განვითარების ბანკი, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროკავშირი და ევროპის საინვესტიციო ბანკი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) საშუალებით, საფრანგეთის რესპუბლიკა – განვითარების სააგენტოს (AFD) საშუალებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკის ჯგუფი ერთად მუშაობს, რომ უზრუნველყონ საქართველოს სწრაფი მხარდაჭერა და ამჟამად, განიხილავენ ფინანსური დახმარების არსებით პაკეტს, რაც ხელს შეუწყობს ხელისუფლების ეფექტიან რეაგირებას ამ უპრეცედენტო კრიზისზე. განვითარების სფეროში მოღვაწე ბევრი სხვა პარტნიორი ასევე ამზადებს დახმარების პაკეტებს საქართველოს ხალხისთვის.[16]

საქართველომ მიმართა, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში უახლოეს მომავალში ქვეყნისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაზრდასთან დაკავშირებით. სელიმ ჩაკირის თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი აგრძელებს, საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, რათა კორონავირუსის გამო არსებული შოკის ეფექტი და გავლენის შეფასდეს და შერბილდეს.

“საერთაშრისო სავალუტო ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის მიერ გადადმულ დროულ და გადამწყვეტ ნაბიჯებს კორონავირუსის ეფექტური მონიტორინგის, შეკავებისა და განეიტრალების მიმართულებით. პირველი რიგის პრიორიტეტი ფისკალური რეაგირების კოტექსტში არის წინა ხაზზე ჯანდაცვის ხარჯების უზრუნველყოფა, ხალხის კეთილდღეობის დაცვა, დაავადებულებზე ზრუნვა და ვირუსის გავრცელების შენელება.

ქართულ მხარეს გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძლიერი გამოცდილება გააჩნია, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა უცხოური რეზერვების და ფისკალური რეზერვების შექმნა. მათი გამოყენება შეიძლება პოლიტიკური რეაგირების ნაწილი გახდეს საქართველოს ეკონომიკაში კორონავირუსის ეკონომიკურ ეფექტსა და

[16] https://bm.ge/

გავლენასთან საბრძოლველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აგრძელებს, საქართველოს ხელისუფლებასთან ძალიან პროდუქტიულ თანამშრომლობას, ღია და კონსტრუქციულ დიალოგს, ჩვენ ერთად ვმუშაობთ, შოკის ეფექტის და გავლენის შესაფასებლად, დროული და გადამწყვეტი ნაბიჯების შესამუშავებლად, რათა პანდემიის ეკონომიკური ეფექტი განეიტრალდეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადაა, საქართველოს დაეხმაროს ამ გამოწვევებით აღასვსე და რთულ ვითარებაში"- განაცხადა სელიმ ჩაკირმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას და საქართველოს ხელისუფლებას შორის მიღწეულია შეთანხმება საქართველოში მიმდინარე პროგრამის მეექვსე მიმოხილვის წარმატებით დასრულებაზე და პროგრამის საერთო თანხის გაზრდაზე - ამის შესახებ სსფ-ის განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, სსფ-ის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს დასტურის შემდეგ დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს ბიუჯეტში გადმოსარიცხად COVID-19 პანდემიასთან გასამკლავებლად.

მათივე ცნობით, სსფ-ს მიერ დაფინანსების ზრდა ხელს შეუწყობს მყისიერი სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების მოგვარებას, სხვა დონორების თანხის მოზიდვას და შემდგომ აღმავლობას.

აქვე სავალუტო ფონდი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა COVID-19 პანდემიის და ეკონომიკაზე მისი უარყოფითი გავლენის შესაკავებლად.

„ამა წლის 1-13 აპრილს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, ქალბატონი მერსედეს ვერა მარტინის ხელმძღვანელობით მოლაპარაკებები გამართა საქართველოს ხელისუფლებასთან საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი პროგრამის მეექვსე მიმოხილვის დასრულებაზე და პროგრამის თანხის გაზრდაზე.

მისიის დასასრულს ქალბატონმა ვერა მარტინმა განაცხადა შემდეგი:

„პროდუქტიული დისკუსიის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებასა და სსფ-ს მისიას შორის მიღწეულია შეთანხმება საქართველოში მიმდინარე პროგრამის მეექვსე მიმოხილვის წარმატებით დასრულების შესახებ. სსფ-ს გუნდი რეკომენდაციას იძლევა სსფ-ს მხარდაჭერის საერთო თანხის გაზრდის შესახებ ქვოტის 130 პროცენტით (დაახლოებით $375 მილიონი აშშ დოლარით), რაც მოეხმარება ჯანდაცვის და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებების დაფინანსებას, დააკმაყოფილებს COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საგადამხდელო ბალანსის საჭიროებებს; მოახდენს საერთაშორისო საზოგადოების დახმარების მობილიზებას. ამ თანხის ნაწილი (დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი) იქნება საბიუჯეტო დახმარება, რაც ქვეყნის ხელისუფლებას მოეხმარება სასწრაფო სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროების მოგვარებაში. თანხის ეს ნაწილი ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი გახდება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ პროგრამის მიმოხილვის დამტკიცებისთანავე.

მისიის დონეზე მიღწეულ ამ შეთანხმებას სსფ-ს აღმასრულებელი საბჭო ამა წლის მაისის დასაწყისში განიხილა. მეექვსე მიმოხილვის დასრულების შემდეგ საქართველოსთვის ხელმისაწვდომ თანხასთან ერთად, მთლიანი ჩამორიცხვები საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში საქართველოს ქვოტის 155 პროცენტს (დაახლოებით 450 მილიონ აშშ დოლარს) გაუტოლდება.[17]

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაასრულა საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი სამწლიანი პროგრამის მეექვსე მიმოხილვა. სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ასევე დაამტკიცა საქართველოსთვის ხელმისაწვდომი თანხის ქვოტის 130 პროცენტით ზრდა, ამით საქართველოსთვის ხელმისაწვდომი მთლიანი თანხა SDR 484 მილიონს (ქვოტის 230 პროცენტს) გაუტოლდება.

ამ მიმოხილვის დასრულებისას საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება SDR147 მილიონი (დაახლოებით $200 მილიონი დოლარი) საბიუჯეტო დახმარების სახით, რაც

[17] https://bm.ge/

საქართველოს მოეხმარება COVID-19 პანდემიის გამო შექმნილი საბიუჯეტო და საგადამხდელო ბალანსის მყისიერი საჭირობების მოგვარებაში, მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაზრდილი ხარჯების დაფინანსებაში. ამ ჩამორიცხვის შემდეგ, საქართველოს მთლიანი ჩამორიცხვები გაუტოლდება SDR 327 მილიონს (დაახლოებით $448 მილიონ დოლარს). მიმოხილვის მსვლელობისას სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ასევე დააკმაყოფილა ქვეყნის ხელისუფლების თხოვნა პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის დეფიციტზე დაწესებული კრიტერიუმის დაუცველობის უგულებელყოფის შესახებ.[18]

3.2. ფინანსური რისკების მართვა კოვიდ 19-ის პირობებში

ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობას ყველა დროში თან მუდმივად განუსაზღვრელი რისკის წილი ახლდა, რომელიც ადამიანების საკუთარი გადაწყვეტილების შედეგი იყო ან მათი სურვილისა და მისწრაფებებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. სტიქიას, ომებს, ტექნოლოგიურ კატასტროფებს ყოველთვის უდიდესი ზარალი მოჰქონდა და მათ თან ადამიანების დაღუპვა, ეპიდემიები, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის საჭიროება, მოუსავლიანობა და სხვა სახის უბედურებები ახლდა. საზოგადოების ევოლუციის, საქმიანობის სახეობების გაფართოებისა და გართულებისა და გართულების შესაბამისად, შესაძლო საშიშროებების ჩამონათვალი იზრდებოდა, მათი ხასიათი, წარმოშობის სფერო, მიმართულება და ზემოქმედების ძალა იცვლებოდა. თუ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ადამიანისათვის მთავარ საშიშროებას ბუნებრივი მოვლენები, მტაცებლებისა და მტრულად განწყობილი ტომების თავდასხმები და ავადმყოფობები წარმოადგენდა, თანამედროვე მსოფლიოში კი - ბუნების სტიქიასთან ერთად, მუდმივად სახეცვალებადი

[18] https://mof.ge/

სხვა საშიშროებები არსებობს, როგორებიცაა: ტექნოლოგიური ავარიები, ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და სხვა სახის იარაღის გამოყენება, ცოცხალი ორგანიზმის კლონირება, საერთაშორისო ტერორიზმი, ეკონომიკური კრიზისები და სხვა.

ბიზნეს-გარემოს ცვლილებასთან ერთად რისკებიც იცვლება. გარდაქმნის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: გლობალიზაცია, ინფორმაციისა და კაპიტალის მოძრაობის გზაზე ბარიერების მოხსნა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ფინანსური ინსტრუმენტები.

რისკის მართვის მიზანი - დღეს საწარმოს მართვის სტრატეგიული მიზნის - ფირმის საბაზრო ღირებულების (საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულების) მაქსიმიზაციის - შემადგენელი ნაწილია, რაც ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ღირებულების ზრდაში გამოიხატება.

როგორც ცნობილია, აქციის საბაზრო ღირებულება მოთხოვნა-მიწოდების თანაგფარდობით განისაზღვრება და იგი დაგეგმვის არჩეულ ჰორიზონტზე მისი განუსაზღვრელობის (აქტივის მისი გაყიდვამდე ფლობის ვადის) გათვალისწინებით, ინვესტორის მოსალოდნელი შემოსავლების სამომავლო ნაკადს გამოხატავს.

ბიზნესის მიზნების ასეთი თანამედროვე განხილვა, მისი მთავარი ინვესტორების - აქციონერების ინტერესების პრიორიტეტს ასახავს და ის ფაქტი, რომ აქტივების ფლობის პერიოდში მიმდინარე შემოსავლიანობასთან ერტად (დივიდენდები - აქციებზე, პროცენტები - ობლიგაციებზე, საარენდო გადასახადი - უძრავ ქონებაზე) მისი მეორე ნაწილის - კაპიტალის ნაზარდის - აქტივების შეზენისა და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობას წარმოადგენს, რომლის სიდიდემ შეიძლება ინვესტიციის საერთო შემოსავ-ლიანობის ძირითადი ნაწილი შეადგინოს. გარდა ამისა, კონკურენების არაკეთილსინდისიერი შთანთქვისაგან დაცვას ემსახურება. ფირმის მიზნებიდან გამომდინარე - რისკის მართვის მიზანი, აქციონერებისათვის მისაღებ დონეზე მდგრადი მოგებიანობის უზრუნველყოფისათვის რისკის რისკის სხვადასხვა სახეობების მისაღებ დონეზე შეზღუდვაში მდგომარეობს.

დღესდღეობით მსოფლიო, ისევე როგორც საქართველო და ქართული ბიზნეს–სექტორი ისეთი პრობლემის წინაშე დგას, როგორიც COVID-19–ია. COVID-19 პანდემიის გამო, საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2020 წელს მოსალოდნელია რეალური მშპ-ს 4-პროცენტიანი კლება. ამჯერად პროგნოზის გარშემო არსებული გაურკვევლობა უფრო მაღალია ვიდრე ჩვეულებრივ ვითარებაში. ვაჭრობის შემცირება, ტურიზმის შეჩერება და გადმორიცხვების კლება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ-ს 11⅓ პროცენტამდე გაზრდის 2020 წელს. გლობალურუად ინვესტორთა გაზრდილი სიფრთხილის გამო სავარაუდოა წმინდა კერძო შემოდინებების შემცირება და ინვესტიციების გადავადება. COVID-19 პანდემიამ წარმოშვა საგადამხდელო ბალანსის დაფინანსების საჭიროება დაახლოებით 1.6 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით 2020-21 წლებში. ეს საჭიროება დაფინანსდება სსფ-ს და სხვა დონორების დახმარებით.

ხელისუფლებამ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა COVID-19 პანდემიის გავრცელების კონტროლისა და მისი უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შესამცირებლად. გასულ წლებში გატარებული გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის, ფისკალური და საგარეო რეზერვების ზრდის, კაპიტალით კარგად უზრუნველყოფილ საფინანსო სისტემისა და დონორების მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების წყალობით საქართველო მომზადებულია ამ გამოწვევის პირისპირ.

2020 წელს ფისკალური დეფიციტი დროებით გაიზრდება მშპ-ს 8½ პროცენტამდე, რადგან შემოსავლები იკლებს, ხარჯები კი მატულობს ვირუსის შესაკავებლად და პანდემიის სოციალური და ეკონომიკური გავლენის შესამცირებლად. ხელისუფლებამ მოიძია ფინანსური რესურსი საერთაშორის სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებისგან, რაც დააფინანსებს ამ გაზრდილ დეფიციტს და ასევე შექმნის ბუფერს (რეზერვს) რაც მთავრობას დაღმავალი რისკების მატერიალიზების შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას მისცემს. ხელისუფლება იღებს ვალდებულებას შოკის დასრულების შემდეგ განახორციელოს ფისკალური კონსოლიდაცია და გაზარდოს ფისკალური რეზერვი ფისკალურ რისკებთან გასამკლავებლად.

ფასების სტაბილურობის და ფინანსური სტაბილურობის მანდატის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკმა განახორციელა სავალუტო ინტერვენციები გაცვლითი კურსის მერყეობის შესამცირებლად და გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. კაპიტალის და ლიკვიდობის ბუფერები დროულად გამოთავისუფლდა ეკონომიკის მხარდასაჭერად. ბანკებს ეთხოვათ მოსალოდნელი დანაკარგი დაუყოვნებლივ ეღიარებინათ. საქართველოს ეროვნული ბანკი მზადაა მისი პოლიტიკა მოქნილად შეცვალოს ვითარების შესაბამისად, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნეს ფასების სტაბილურობა და ფინანსური სტაბილურობა.[19]

ბიზნესის ხელშეწყობისა და ადმინისტრირების დანახარჯების შემცირების მიზნით, მთავრობისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის შედეგად, მომზადდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მარტივდება დაზიანებული/გაფუჭებული საქონლის ჩამოწერის პროცედურა. ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად მარტივდება გადასახადის ადმინისტრირების პროცესი, მცირდება ბიზნესის დანახარჯები და დრო. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს ბიზნესს, განსაკუთრებით იმ კომპანიებს, რომლებმაც COVID-19 -ის პანდემიის გამო ახლა შეძლეს ბიზნეს პროცესების განახლება, მათ კიდევ უფრო შეუმსუბუქდებათ საგადასახადო ვალდებულებები, რაც დაეხმარებათ სწრაფად აღდგენაში და შემდგომ განვითარებაში. ბიზნესთან კონსულტაციების შედეგად მომზადებული ცვლილებებით, გადამხდელებისთვის რომლებსაც მოწესრიგებული აღრიცხვააქვთ:

• სრულად უქმდება 100 ლარამდე ღირებულების დაზიანებული/გაფუჭებული საქონლის ჩამოწერის საფასური;

• იხვეწება დაზიანებული/გაფუჭებული საქონლის ჩამოწერის კრიტერიუმები - საზოგადოებრივი კვების ობიექტებს შეეძლებათ გამარტივებულად, საგადასახადო ორგანოს მხრიდან ადგილზე გასვლის, დათვალიერებისა და საფასურის გადახდის გარეშე, ჩამოწერონ დაზიანებული/გაფუჭებული საქონელი;

[19] https://bm.ge/

• დგინდება სურსათის დანაკარგების ოდენობა სავაჭრო ობიექტებისთვის, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა, სურსათის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის 1%-ის ოდენობის დანაკარგი არ დაბეგრონ გადასახადებით. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული/გაფუჭებული საქონლის ჩამოწერის პროცედურის გამარტივება ერთ-ერთია იმ საკითხებს შორის, რომლის გადაწყვეტაზეც მთავრობა ბიზნესთან ერთად აქტიურად მუშაობდა. აღნიშნული ინიციატივა სრულად ასახავს ბიზნესის ინტერესებს და შედგენილია სწორედ ბიზნესის მხრიდან დაყენებული წინადადებებისა და მოსაზრებების შესაბამისად.[20]

საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმის II ეტაპი - მიზნობრივი სოციალური დახმარება მოქალაქეებს

ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შემუშავებული მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღების ინსტურქცია გამოაქვეყნა. მიზნობრივი დახმარება კორონავირუსის პანდემიის გამო გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შერბილებას ემსახურება. დახმარება რამდენიმე კატეგორიად იყოფა:

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება – ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, 2020 წლის 1 მაისიდან 6 თვის განმავლობაში, თვეში 750 ლარის ხელფასზე საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც დაქირავებით არიან დასაქმებულები და ამ 6 თვიან პერიოდში, თითოეულ თვეში მათი ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს.

ეს შეღავათი კერძო სექტროს ეხება და მოიცავს კომპანიებს, საწარმოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებსაც დაქირავებული ჰყავთ ფიზიკური პირები, მათი შესრულებული სამუშაოების შესაბამისად უხდიან ხელფასს და ამავდროულად იხდიან საშემოსავლო გადასახადს. საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება არ ეხება საჯარო სექტორს. კერძო სექტორი კი შეღავათით ამ ინსტრუქციის მიხედვით მიიღებს: საერთოდ არ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც 750 ლარი ან უფრო ნაკლებია; ნაწილობრივ

[20] https://mof.ge/
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი

გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც მეტია 750 ლარზე და არ აღემატება 1500 ლარს. ამ შემთხვევაში დარიცხულ ხელფასს აკლდება 750 ლარი და დარჩენილი თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით;

- მაგ: თუ საწარმოში დასაქმებული პირის დარიცხული ხელფასი შეადგენს 1000 ლარს, აღნიშნულ თანხას აკლდება 750 ლარი და საშემოსავლო გადასახადს იხდის მხოლოდ დარჩენილ 250 ლარზე (50 ლარს). სრულად გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელზეც კონკრეტულ თვეში ხელფასი იქნება 1500 ლარზე მეტი.[21]

საწარმოო პროექტების განხორციელების ახალი პერსპექტივები ჰუალინგის თიზში

კერძო სექტორის გეგმებში უკვე მყარად არის გათავისებული და შესაბამისი კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება იმ მიმართულებით, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში ქართული წარმოების განვითარება, როგორც ადგილობრივი ბაზრის უზრუნველყოფის, ისე საექსპორტო მიმართულებით გახდეს უპრეცედენტო. ამ პროცესში თავისი პოტენციური წვლილის შეტანის მიზნით, ჰუალინგის თიზ–მა, რომელიც ქ. ქუთაისში ყოფილი ავტოქარხნის 36 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს, გამოხატა მზადყოფნა რომ მათ ხელთ არსებული ინფრასტრუქტურა - სამრეწველო თუ სასაწყობე დანიშნულების შენობები, თავისი კომუნიკაციებით, უპრეცენდენტო შეღავათებით შესთავაზონ მეწარმეებს ან მთლიანად გადამამუშავებელ სექტორს. აქ საუბარია პრაქტიკულად არაკომერციულ შეთავაზებაზე, რომელიც გულისხმობს მზა ფართების ქირავნობის კუთხით შეღავათებს, მორატორიუმებს, ბიზნესის დაწყების საოპერაციო კომპონენტში დახმარებას, მუშახელის მოძიებას და სხვა. ამ შეთავაზების მიზანი, ასეთი პროფილის კომპანიებისთვის ერთის მხრივ, საწყისი ფინანსური ტვირთის შემსუბუქებაა ხოლო, მეორე მხრივ, დროის მოგება, იმისთვის, რომ წარმოების პროცესი უმოკლედ ვადებში დაიწყოს. მათი მიზანია მაქსიმალურად მოერგონ კონკრეტულ პროექტებს. ბიზნესის წამოწყების სპეციფიკის მიხედვით დაინტერესება მათი შეთავაზების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებების მიმართ იქნება.

[21] https://www.moh.gov.ge/

მეტად მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით, სახელმწიფომ სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები გადადგა და კონკრეტული შეთავაზებათა პაკეტი წარმოადგინა სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში მნიშვნელოვნად გაზრდილი და გაფართოებული დაფინანსების მექანიზმების სახით, რომელიც, თავის მხრივ, დამატებით მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორებია ადგილობრივი თუ უცხოური მეწარმეობის განვითარების კუთხით საქართველოში და მათ შორის თიზ-ებში. მათ, სხვა თიზების წარმომადგენლებთან ერთად, გამართეს სამუშაო შეხვედრა სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" დირექტორთან მიხეილ ხიდურელთან და მის გუნდთან და გადაწყვიტეს ერთობლივად კონკრეტულ ნაბიჯები გადადგან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით თიზ-ებში. მათ შორის განიხილება ერთობლივი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება და საერთო აქტივობების განხორციელება. სააგენტოს მხარდაჭერის მექანიზმები მათ შეთავაზებასთან ერთად პაკეტში უკვე გამორჩეული პროდუქტია დაინტერესებული მეწარმეებისთვის, ვინაიდან ისინი შეძლებენ მათი საშუალებით მნიშვნელოვნად შეიმცირონ წინასწარი კაპიტალდაბანდებები, ხოლო სააგენტოს მიერ შემოთავაზებული პროგრამებით, მათ შორის საკრედიტო-საგარანტიო და სესხის უზრუნველყოფის კომპონენტების საშუალებით ისარგებლებენ დამატებითი შეღავათებით.[22]

[22] https://forbes.ge/

დასკვნა

წლების განმავლობაში პროცესები იმდაგვარად განვითარდა, რომ სამოქალაქო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბევრად უფრო გახსნილი და გამჭვირვალე ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ვიდრე ბევრ სხვასუბიექტთან – ბიზნეს-ორგანიზაციების ჩათვლით. ბევრი გადაწყვეტილება, რომელთაც საქართველოს პარლამენტი იღებს, დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა ბიზნეს კომპანიის საქმიანობაზე. ამასთან, მთლიანად სექტორი იმდენად მგრძნობიარეა ამგვარი ცვლილებების მიმართ, რომ არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება, არამედ ზოგიერთი იდეის გაჟღერებაც კი შესაძლოა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახოს.

სახელმწიფოს ვალდებულებაა, არა მხოლოდ მიიღოს გადაწყვეტილებები, არამედ ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოისმინოს ყველა დაინტერესებული მხარის აზრი, განიხილოს ყველაშესაძლო ვერსია, შეაფასოს პოტენციური შედეგები და რისკები და მხოლოდ ამის შემდგომ გადადგას ნაბიჯი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის დამკვიდრებას ხელს უწყობს საქართველოში „ღია მმართველობის პარტნიორობა“ – გლობალური მოძრაობა, რომელიც ეხმარება ქვეყნებს დახურული პროცესების გახსნასა და გადაწყვეტილებების მიღებაში არა დახურულ კარს მიღმა, არამედ იმ ადამიანებთან ერთად და იმ ადამიანების აზრის გათვალისწინებით, ვისაც ეს ცვლილებები ეხება.

საქართველო ამ მიმართულებით ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად მიიჩნევა, განსაკუთრებით საპარლამენტო ღია მმართველობის კუთხით, რასაც ადასტურებს 2015 წელს ღია მმართველობის პარტნიორთა ჩემპიონობის ჯილდოს მიღება და მოგვიანებით, ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყნად არჩევა.

საქმიანობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის პარლამენტში ბოლო პერიოდში აქტიურად ინერგება ინოვაციური ტექნოლოგიები. დღეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით;

შემუშავდა საქართველოს პარლამენტის მობილური აპლიკაცია და საჯარო ინფორმაციის მოდული, სადაც ინფორმაცია მარტივად დასამუშავებელ ფორმატშია მოცემული; ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ელექტრონული წესით მოთხოვნა, თუმცა კონკრეტულად ბიზნეს ორგანიზაციების კიდევ უფრო აქტიური ჩართულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ელექტრონული მმართველობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ან უკვე არსებული მექანიზმების დახვეწა ახალი ინოვაციური მიდგომების გამოყენებით.

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ბევრ დაინტერესებულ პირს მაინც უჭირს ნავიგაცია იმ ზღვა ინფორმაციის ნაკადში, რაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში იყრის თავს და მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა არის სრულიად გამჭვირვალე და ყველა ინფორმაცია – ხელმისაწვდომი, მრავალი ორგანიზაცია თუ ადამიანი მაინც ვერ ახერხებს მათთვის მარტივი და ხელსაყრელი ფორმით საჭირო ინფორმაციის დროულად მიღებას და თავისი აზრის მკაფიოდ დაფიქსირებას.

ამდენად, აუცილებელია, შეიქმნას პარლამენტსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის უკეთესი მექანიზმები და ამისათვის საუკეთესო ფორმატად წარმოდგენილია ღია პარლამენტის საბჭოს საქმიანობის გაფართოება. ეს იდეა ეკუთვნის ამერიკის სავაჭროპალატას (AmCham), რომელიც საბჭოს მნიშვნელოვანი პარტნიორია და რომელმაც კარგად დაგვანახვა ამგვარი თანამშრომლობის მზარდი აუცილებლობა.

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისა და საჭირო ინფორმაციის უკეთესი ხელმისაწვდომობის მიზნით, ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ შექმნა „დაინტერესებულ პირთა რეესტრი (კერძო სექტორი - ბიზნესასოციაციები)“. რეგისტრირებული პირები საწყის ეტაპზე მიიღებენ ინფორმაციას იმ ინიცირებული კანონპროექტების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე.

აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მეტ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გაუადვილებს მათ აუცილებელი ინფორმაციის

მოძიებას საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის შესახებ და დაამკვიდრებს საქართველოს პარლამენტისა და კერძო სექტორის უკეთესი თანამშრომლობის პრაქტიკას.

რეესტრის შექმნის ვალდებულება გამომდინარეობს ღია მმართველობის (OGP) მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან და მისი ინიციატორია ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham).

უახლოეს დღის წესრიგში დგას შემდეგი მექანიზმების შექმნა:

• პარლამენტის ვებგვერდზე დაინტერესებული პირების საერთო რეესტრი, სადაც დარეგისტრირება შეეძლებათ კერძო სექტორის წარმომადგენლებს;

• პარლამენტში ბიზნესის სექტორთან ყოველწლიური შეხვედრების გამართვა;

• კერძო სექტორის საპარლამენტო პროცესში ჩართულობის ინსტიტუციონალიზება.

თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია და ორმხრივი ინტერესისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემთხვევაში, ბევრად შორს შეიძლება წასვლა საერთო მიზნის მისაღწევად.

სტრუქტურული რეფორმების შემდგომი განხორციელება ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის პოტენციალის შენარჩუნებას საშუალოვადიან პერიოდში და პანდემიის შემდგომ ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებას. ხელისუფლებამ სწრაფად უნდა აამოქმედოს კანონი საწარმოთა გადახდისუუნარობის შესახებ. საბაზისო პენსიის ინდექსირების წესის დამტკიცება გააუმჯობესებს პენსიონერთა რეალურ შემოსავალს და შეამცირებს სიღარიბეს მოხუცთა შორის.

პანდემია, სავარაუდოდ, საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან კვალს დატოვებს, რაც წინა წლებში ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ ტენდენციას შეაფერხებს. შესუსტებულმა მაკროეკონომიკურმა მდგომარეობამ და ფისკალურმა ვითარებამ, შექმნა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის და ბიუჯეტის დაფინანსების მყისიერი საჭიროება. სსფ-ს მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაზრდილი ხარჯის დაფინანსებაში.

COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა. საგარეო მოთხოვნისა და ტურიზმის შემცირებამ გამოიწვია საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის

ზრდა, ლარის გაუფასურება და ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი კლება. ხელისუფლებამ სწრაფად აამოქმედა შეკავების ღონისძიებები, ამასთან, შინამეურნეობებს და ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებს მიზნობრივი დახმარება შესთავაზა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მართებულად შეინარჩუნა ზომიერად მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, გავცლითი კურსის მოქნილობის უზრუნველყოფასთან ერთად. მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს ინფლაციური მოლოდინების ზედმიწევნით მონიტორინგს. სტრუქტურული რეფორმების გაგრძელება ხელს შეუწყობს საშუალოვადიანი ზრდის პოტენციალის შენარჩუნებას და COVID-19 პანდემიის შემდეგ სწრაფ აღდგენას. სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის წესის მიღება პენსიონერების რეალურ შემოსავალს შეინარჩუნებს. საბანკო რეზოლუციის ჩარჩოს დასრულება და გადახდისუუნარობის ჩარჩოს ამუშავება დაეხმარება ეკონომიკის გაჯანსაღებას. პროგრამის ფარგლებში საქართველოსთვის ხელმისაწვდომი თანხის ზრდა დაეხმარება ქვეყნის ხელისუფლებას გაატაროს კოვიდ 19-ის შოკის საწინააღმდეგო ღონისძიებები და დააკმაყოფილოს საგადამხდელო ბალანსის მყისიერი საჭიროებები.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. – „ფინანსური კონტროლი“, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012. – 357 გვ.
2. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. - ,,რისკები და დაზღვევა“. - თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2019. – 468 გვ.
3. ვაჩნაძე რ., თურქია გ., ლომსაძე პ. - ,,ბიზნესის სახელმძღვანელო ESM“ - თბილისის სტუდენტებისათვის, ტომი II. – თბილისი, 2005.
4. ინგოროყვა ა., ცაავა გ. – ,,ფინანსური მენეჯმენტი“: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა, ტომი I, (სახელმძღვანელი), ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფინანსების მართვა. - თბილისი, გამომცემლობა 141 გრაალი“, 2011. – 470 გვ.
5. ინგოროყვა ა., ცაავა გ. – „ფინანსური მენეჯმენტი - თეორია, მეთოდები და პრაქტიკა“, სახელმძღვანელო, ტომი II: საწარმოს ფინანსების მართვა. - თბილისი, გამომცემლობა „გრაალი“, 2011. – 702 გვ.
6. ლიპარტია ზ. – „შიდა კონტროლის სისტემის მოდელირებასაბანკო ბიზნესის ეკონომიკურიუსაფრთხოების რეგულირების მექანიზმში", საერთაშორისო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა"XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, სტუ, თბილისი, 2011. 78-83 გვ .
7. ლიპარტია ზ. – „ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია", მონოგრაფია. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2017. – 506 გვ.
8. ქოქიაური ლ. - „საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე)“, ტომი I, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა ,,თსუ“, 2007. – 1018 გვ.
9. ქოქიაური ლ. - ,,ფინანსები“ (სამ ტომად), სახელმძღვანელო“. - თბილისი, შპს „კალმოსანი“, 2018 წელი 858 გვ.838 გვ.
10. ქუთათელაძე ა., ქუთათელაძე დ. – „ინფორმაციული უსაფრთხოება და რისკები საფინანსო–საბანკო ბიზნესში“. – თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014. - 129 გვ.

11. ცაავა გ., სიჭინავა ალ., ხანთაძე გ. - ,,კორპორაციული ფინანსები“(ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია), სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016. – 726 გვ. (ელეწტრონული წიგნი).

12. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ., - ,,ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსების თეორიული საფუძვლები,საწარმოს ფინანსების მართვა,ფინანსური დაგეგმვა-ანგარიშგება-ანალიზი,კორპორაციული ფინანსები,ტესტები და ამოცანები.“-თბილისი. ,,აფხ. მეცნ. აკადემია“-2006.992გვ.

13. ცაავა გ. - ,,ფინანსური მენეჯმენტი“. - თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009. – 205 გვ. (დაფინანსებულია USAID-ის „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის“ ასოციაცია „სათემო კოლეჯები საერთაშორისო განვითარებისათვის ინქ-ის “ გრანტის პროგრამის ფარგლებში. – ISBN 978-9941-14-630-5).

14. ცაავაგ. სიჭინავაა. ხანტაძე გ.-„კორპორაციული ფინანსები“ სასწავლო - პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბილისი. სტუ 2016 წელი. 720 გვ.

15. ხარხერაული ხ.-„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოში“ სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი . თბილისი 2013 წელი

16. ჯანჯღავა ქ. –„უცხოური პირდაპირი ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის(საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია გვ.47-49

17. Audit Executive Center, 10 Risk Management Imperatives for Internal Auditing, The IIA, 2009.

18. Audit Executive Center, Contemprorary Practices in Risk Management, The IIA, 2012.

19. Clayton, D., A Riskcentric Approach that Works, Internal Auditor, February 2009.

20. Fraser, J., Simkins, J, B., Enterprise Risk management, Wiley publishing. 2010.

21. Gressly, J,M., Wyss, A., Risikomanagement – Mehr als nur gesetzliches Pflichterfüllung, Der Schweizer Treuhänder 10/2008. 144 86. Protiviti, Internal Audit Around the World, Vol.

IX, 2013.

22. Hampton John. Fundamentals of enterprise risk management: how top companies assess risk, manage exposure, and seize opportunity. – AMACOM, New York, 2009.

23. Internal Auditing's Role in Risk Management, Sponsored by Oracle and The IIA Research Foundation, March, 2011.

24. Kovzanadze Irakli. – Ekonomik and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition – Printed in the United States of America, 2008. – 257 p.,

25. Koenig David R. The Professional Risk Managers' Handbook /A Comprehensive Guide to Current Theory and Best Practices.The Official Handbook for the PRM Certification - support@prmia.org

26. Stéphane Dées, Filippo di Mauro, M. Hashem Pesaran, L. Vanessa Smith. Exploring the international linkages of the euro area a global VaR analysis. Europeancentralbank, workingpaper № 568, December 2005.

27. Tarron Khemraj-"What does excess bank liquidity say about the loan market in Less Developed Countries?

oxford Economic Papers, Volume 62, Issue 1, January 2010, Pages 86–113, https://doi.org/10.1093/oep/gpp013

28. ბრძანება №248 საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. 2010. www.matsne.gov.ge

ინტერნეტ-რესურსი:

1. www.etreasury.ge
2. www.abg.org.ge
3. www.bis.org
4. www.centralbanking.com
5. www.gse.ge
6. www.ifc.org
7. www.imf.org

8. www.mof.ge,
9. www.nbg.ge
10. www.bis.org
11. www.abg.org.ge
12. www.centralbanking.com
13. www.imf.org
14. www.worldbank.org
15. www.ifc.org
16. www.oecd.org
17. www.gse.ge
18. https://forbes.ge/
19. https://commersant.ge